

1298/1.

3.17

No. I



# કાવ્યકુણી



1890



## ქურნალ «ჯეჯილი»-სა:

	გვ.
I. ჯეჯილი, ღემსი მდგიმელისა.	3
II. ჯეჯილი, ღემსი ვაჟა-ფშაველისი.	5
III. გიგლიას სიზმარი შება ღამესი, საემსწ. ამბავი, ბარე- ლისა.	6
IV. მერცხლისა და ჭივჭავის ომი, შოქა ღემსად, ავაჭისა.	12
V. ჩერენი მამალი, საემსწვილო ამბავი, ვაჟა-ფშაველისი.	16
VI. ციცუნას სიზმარი, სალხური ღემსი.	23
VII. სპილო და ჭიანჭველები, საემსწ. ამბავი, ი. გო- გებაშვილისა	24
VIII. ბაზალეთის ტბა, ღეგენდა ღემსად, ი. ჭავჭავაძისა.	26
IX. შობა ლამეს, საემსწ. ამბავი (ფრანგულიდამ).	28
X. შვილნი ვართ, ღემსი, რ. ერისთავისა.	34
XI. სამი გლახა და ქრისტე-ლერთი, ზდანარი.	36
XII. ღვთის შვილი. მოთხოვდა კ. გაბაშვილისა	38
XIII. თეგეოს, ბერძნების მოთლოვიდამ, ალ. ჭიჭინაძისა.	45
XIV. ჭინჭველა, სამეცნიერო წერილი, ეგ. ჭ—ძისა.	57
XV. სამაგიეროს გადახდა (ფრანგულიდამ).	61
XVI. მეღორობა (თამაშები) ან-მანისა.	62
XVII. მეფე და მეთევზე, ზღაპარი-გამოცანა.	64
XVIII. სამი მგზავრი (იგავა) ან-მანისა.	65
XIX. ლოკოკინა და ხვლიკი.	66
XX. მელა და ერკემალი.	66
XXI. ანდები, გამოცანები, სალხური ღემსები, შარადა, რებუსი.	67



# ჯეჯილი

საყდაზილო სახათმაგილი

ქურთ ალი

იზარდე, მწერე ჩემილო,  
დაპურდი, გახდი ყანაო!  
„ დ.

№ I.

წელიწადი პირველი



ტბილისი

სტამბა ივ. ა. მარტინსიანცისა, ორბ. ქუჩა, სახლი № 1—2.  
1890.



Дозволено цензурою. Тифлісъ, 7-го Декабря 1889 года.



Типографія И. Мартirosianца, Орб. ул., домъ № 1—2.

## ჯ ე ჯ ი ლ ი

—  
18



ამთარი გადის, სუმულებან  
ღნება თოვლი და ზვავია,  
ია იძლება, ჯეჯოლსაც  
ამოუშვია თავია.

აქამდის იუო თოვლის ქვეშ  
დაფარულუდამბლულია,  
ახლა კი მჩინა სხივებზედ  
გადაუშლია გულია.

შეხედეთ ერთი ამ კოხტას,  
რა ტურფა სანახავია!  
ისე თრთის დილის ნიავზე,  
ვით ზფვის ტალღებში ნავია.

ଝୟର ଶବ୍ଦଗୀରାଜ, ପ୍ରକଟ୍ୟାର,  
ତନ୍ଦ୍ରାତାନ ପାଦଶ୍ରେଷ୍ଠାନ,  
ଫାଇଶାଙ୍କର ଅନ୍ଧରୀର ତାପତଳାର,  
ଶ୍ରୀପାଶାଙ୍କର ବନ୍ଦେଶ୍ଵର.

ମରମ୍ପଣ, ମରଲାନ୍ତିର୍ଯ୍ୟ, ପାଲାର ଶିରର  
ରାଧିକା ଚିତଲାଦ ଶ୍ରୀପାଶାଙ୍କର,  
ରା ପାଦଶର୍ମୀର ପାଦଶର୍ମୀର  
ମିଳିବ ଫାଥର୍ମାର୍କାର.

ମରମ୍ପଣ





პ ე პ ი ლ ი

ლეხის მარჯვენის ნაღვაწო  
 და გლეხის ოფლით მორწყულო,  
 ჯეჯილო ნაჭირშაგევო,  
 უფლის წყალობით მოსულო!  
 ღაგიმშეენებავ მინდორი,  
 ლამაზი გიჩანს პირია.  
 რა ჭირნახულა მოსულა  
 ფეხად და როგორ ხშირია!  
 თავს დასთამაშებს მერცხალი,  
 თან დასჭირებულის სირია,—  
 სტუმარი უცხო ქვეყნისა  
 და ჩვენის ქვეყნის შეილია.  
 ცამ ღაგვინამა და მიწამ  
 საზრდოთ გაუცსო ძირია.  
 ვინც ნახავს, გაუკვირდება,  
 და მართლაც გასაკვირია:  
 ნორჩის ცყავილის გარშემო  
 არშია ავლავ ძვირია.  
 კურდღელიც შემოსჩევენა,  
 რომ აცმაცუნოს პირია.  
 დარაჯად უდგა ტორუა,  
 გალობას ეტყვის ტებილსაო.  
 ღმერთო, გვიკურთხე ჯეჯილი,  
 ნუ არიდებ პირსაო!  
 გვალირსე ყანადა ვნახოთ —  
 ნამგლებს გაჰქონდეს პრიალი;  
 მკერდ-ოფლიანის ბიჭების  
 ცასა სწვდებოდეს გრიალი,  
 და თანაც შეეიწროებულს  
 მწყრებს ამოჰქონდეს ფოხრიალი!

808ლ018 808მა60

## შობა დამეს



ობა დამეა. გიგლია და ამის დედა მარტონი არიან სახლში. ჭრაქი ჩაიწვა, ჩაქრა. ბნელა. მხოლოდ ბუხარში ობლად დარჩენილი მუგუ ზალი ბუგტავს და სანდახან ოდნავ ამოანათებს ხოლმე.

არ ეძინება გიგლიას, დარდი აწუხებს გიგლიას:—ამის მახა ცხევარშია წასული, სკალ შობა დღეა, ამაღამ შინ უნ და დაბრუნებულიერ. სად არის აქამდის?

—რა დაქართა, რად დაიგვიანა!—გიშვიშებს გიგლიას დედა. ცა ირევა, იქნება ქარბუქიც ასტედეს. ღმერთო, შინ მშვიდობით მოიგვანე, დმერთო, იხსენ უბედურებისაგან!...

არ ეძინება გიგლიას, არც უნდა მილი გიგლიას:— აგერ წელან დედამ თაროზე შედგა ცივად მოხსარმული დედლი, ცხვრისა და დორის ხორცი. ჯერ ისევ ოშხივარი ასდით. რა კარგია დედლის ხორცი, მსუქან ღორისაც არა უშავს რა! გიგლიას ნერწევი მოსდის ჰირში და მსუნავ კატასავით ტუჩებს აცმაუნებს. სული სმლევს გიგლიას, უნ და მიერაროს, დედა რომ დაიძინებს, და ცოტა ხორცი მოციცქოს. მავრამ არ იზამს ამას გიგლია, არ იზამს,— მარხვაა. დედამ რა უთხრა? კარგად ასხოვს გიგლიას:— შეილო, ამაღამ ქრისტე რომ დაიბადება, ცა გაიხსნება და, თუ ჰირვაუხსნელი იქნები, რასაც ინატრებ, აგისრულდება...



არ ეძინება გიგლიას, არც უნდა მიღო გიგლიას:—  
გიგლია მოუთმენლად ელის ცის გახსნას. ნატერა აქეს გი  
გლიას ღმერთთან, სახვეწარი:—ღმერთო, მამაჩემი შინ მშეი-  
ღობით დამიბრუნეო! მაშინ დედაჩემიც გასარებული იქნება...

არ ეძინება გიგლიას, ფიქრებშია გართული გიგლია:—  
«სულ ორი დღეა, რაც დაგვითხოვა მასწავლებელმა. ღმერ-  
თო მომავონე, რა გვიამბო მასწავლებელმა? ჭი, მართლა,  
ქრისტეს შობის ამბავი:—ქრისტე ბაკაში დაიბადაო. ცაში  
დიდი, ბჟევრიალა ვარსკვლავი ამოვიდაო. ცა გაიხსნა, ან-  
გელოზები ჩამოვიდნენ და იგალობესო: დიდება მაღლა ღმერთ-  
სა და მშეიღობა აქ ქვეყნასათ. აქეე ახლოს მეცხვარები  
იუნენ, ანგელოზებმა პირველად იმათ ახარეს ქრისტეს და-  
ბადებაო.... მამაჩემიც ხომ მეცხვარეა, მაშ ამაღლაშ ცა რომ  
გაიხსნება, ანგელოზები ჩამოვლენ და პირველად მამაჩემს  
ახარებენო. რა მიხარიან, მაშ მამაჩემს აღარავერი დაუშავ-  
დება. რატომ დედაჩემს არ ვუამბე?.... მეცხვარები წავიდნენ  
ქრისტეს სანახავადა, თაუგანი სცეს და ცხვარი მიუუგანესო...  
განა მამაჩემს კი არა ჭიავს ცხვარი? მამაჩემიც მიუუგანს  
ცხვარს, არ დაზოგავს».....

გიგლიას მიღო ეპარება, გიგლიას თვალები ელულე-  
ბა. გიგლია მიღს ვეღარ უმაგრდება...

—ეს რა ამბავიაო!—ჭიბირობს გიგლია: სიზმარში  
ვარ? არა, არა მმინავს! თვალები და მაქვს... ეს რას ვხუ-  
დავ? ეს ვინ წამომსხდარან თაროზე? შენი ჭირიმე, ღედი-  
ლოვან, —ქათამი, ცხვარი და ღორი! ცოცხლები არიან,  
ცოცხლები!... ეს რა მესმის? ლაპარაკობენ და როგორ ლა-  
პარაკობენ:

—არა, შენ როგორ გეთქმის რამე, —უბნება დორი



ცხვარსა: შე საცოდავო, ჰატრონი ხუთს ტეავს გამოიძახა  
მექანიზაც რომ გაგატეაოს, მაინც სმას ვერ ამოიღებ. უკას  
რომ გჭრიან, მაშინაც კი სწორედ სმა ვერ ამოვიღია, ერთ  
საბრალოდ წაიკიგინებ და ფეხებს გაჭვმლებ. შე მაინც შეუ  
მომხედე, — ისეთს უვირილს ავტებ და იმდენს ვიჰევიტინებ  
სოლმე, მინამ მოელა ქეთანას შევური. დე, ქვეუანამ გაი-  
გოს, რომ თავსა მჭრიან.... რა მალიან თავი მოგაქვს,  
რომ სატობას საკლავად მივუევართო. აი გაგიხმა ეგ ცინგ-  
ლიანი თავი! — და ღორმა მავრა დინგი ამოჟვრა თავში.

— აი თუ ჩემი არა გჯერა, ქათამსა ვკითხოთ, ჩვენში  
ვინ უფრო კარგია, წაილუდლულა დაბრიუებულმა ცხვარ-  
მა: — აბა, ქათამო, შენ იცი და შენმა ქათმობამ, მართალი  
თქვი, შენ სომ ღვთისნიერი სარ; ტეუილად სომ არ ამ-  
ბობენ: ქათამი წეალს დალევს და ლმერთს ისე შეხედავსო.

ქათამმა ერთი გადიკასკასა, თითქოს იამა, რომ ასე  
შეაქესო, ფრთები შეისწორა და დაიწეო:

— ცხვარი სომ ცხვარია, მავრამ ნუ გამიწურები კი,  
ღორთ, და შენზე, სწორედ გითხრა, კარგი არა გამიგია  
რა: ღორი სარ და ღორი, რაღა ბევრი ვილაპარაკო, უსუ-  
ფთაო, უფაქიზო, ულაზათო! სჭამ, სჭამ, სჭამ და მღომა  
არ ბეჭიდება. გაგიმვერია ეგ დინგი, დასწანწალებ მოელი  
დღე და საცა წუმესა ნახავ, ცხვირს იქ წაურევ. მართა-  
ლია, მეც მიუვარს ნაგავში ქექა და საჭმლის მებნა, მავრამ  
აბა შემომხედე, რა ფაქიზადა ვარ. — ქათამმა თავმომწონედ  
ნისკარტი გადისეა ფრთებზე. — შენა? შენ კი სულ ტალახში  
ამოთუთხნული, ამოტურტლული დადისარ. აი ეხლაც, კაც  
მა შემოგხედოს, რას გევხარ. წელან კი, — მე თითონ ვნახე —  
რაც შენა ვხეხეს, რაც შენა გრუცხეს წეალში!... ჰო, კი



დევ გამიგია, რომ ეშმაკის სულიცა სარ თურმე. ერთხელ ჩემმა  
დობილებმა, ღვდლიანთ ქათმებმა მიმიატიუქეს თავიანთ სა  
ნავენე და იქ მიაშეს, —ქრისტემ რომ ეშმაკები და  
სწევლა, ის ეშმაკები სულ დორებად იქცნენო.

—როგორ თუ მაგებს მიბედავთო! —გაჯავრდა ღო  
რი, გაჯავრდა და შეხტევლა, შეხტა და შემოტრიალდა,  
წაჭრა და წამოჭრა დინგი და იქაურობა დააწიოკა: —ქა  
თამს გული გაუსკდა, შეფოხრიალდა, გაძანით გაფარდა და  
საქათმეში თავი შეაფარა. მამალს ქათმის კაგანე გამოედვი  
ძა და ნამძინარებება უდოოვოდ ეივილი მორთო. ცხვარი ში  
შისაგან გადაირია, თავგადაგლეჯილი გარეთ გაფარდა და  
ისე გაქანდა, რომ მარტო იმის ფეხის ბაკიბუკილა ის-  
მოდა. დორეც ჰეივილეკვილით უკან გამოეკიდა....

გიგლია თრთის შიშისაგან. დედი, მიშველე, დედი  
ლო! —უვირის გიგლია, —დედას არ ესმის გიგლიას ხმა...

ეს უცბად რადამ შემოაშუქა და შემოანათა! —გიგლია  
ჯერ კიდევ გონს გერ მოსულა. ამ შეაღამისას ესე რამ გა-  
ანათაო! —ჰევირობს გიგლია... ჰო, ცა გაიხსნაო, მოაგონ-  
და გიგლიას, და ფიცხლავ ინატრა: დმერთო, მამახემი შინ  
მშვიდობით დააბრუნეო!.. აგერ გიგლიას მამაც. ეს რამდე-  
ნი მეცხვარები არიან? მაღლა ცაში რას იურებიან! აგერ  
ცაში ანგელოზები დაფრინავენ, ტრედებივით ღუღუნებენ,  
ფრთებიც ტრედებსავით ასხიათ....

—მამი, მამილო, მიშველე! —უმასის გიგლია მამას.

—აქ რამ მოგიუვანა, შეილო?.. რა გინდა?.. მოიცადე  
მანდ, ეხლავე მოყალ, აი იმ თხას მოყაბრუნებ,—თქვა, კომ-  
ბალი მხარე გაიდო და გასწია.

გიგლიას მამა თხას მისდევს, თხა უკან არ იხედება,



გიგლიას მამა ფეხს აჩქარებს, თხა უფრო ჩქარის სილის. აგერ მაადგნენ ერთს კლდეს, დიდს, მაღალს, მიუვალს. ას-ლა კი მოიბრუნებს თხასაო,—უხარიან გიგლიას. თხა უფრისაც არ იბერტეს, მიაბოტებს არხეინად კლდეზე. გიგ-ლიას მამაც თავს არ ანებებს. აგერ მაღლა, მაღლიან მაღ-ლა ავიდნენ კლდეზე. თხა წვერს მიაცმაცუნებს, კბილები და უპრეჭია და მიკიკინებს, თითქოს აქ არაფერიაო. გიგლიას მამა კი ძლივ-ძლივას მიფოფხავს. გიგლია გულის ცახ-ცახით და კანგალით ადექნებს თვალს.

—უჟ, შე ტრალო,—ემუქრება გიგლია თხასა,—შე ეშმაკო, ეშმაკის გვერდო! აბა თუ ეშმაკი არ არის, რად უევარს უგზო-უგვლოდ სიარული კლდეებზე, მერე ისეთ კლდეებზე, საცა სულ ეშმაკები ბუდობენ.

აგერ შედგა თხა უკანა ფეხებზე, თვალები დააბრიალა, დაიკიკინა და რქებით დაეჯახა გიგლიას მამას. გიგლიას მამამ ერთი კი შეჭერა და კლდიდამ სრიალით მირს წა-მოვიდა....

—მამილო, მამილოჯან! —შეჭერება საზარლად გიგ-ლიამ—და თვალები გააჭერიტა. მამა თავს ადგა გიგლიას:

—რა იუო, შეილო, აქა ვარ! ჩემა უვირილმა ხომ არ შეგაშინა? ამ ვერანა ქოფაქს ქათამი მოეტაცა და იმას ვუ-ჯვრდებოდი.

—მამი, მოჭეულხარ? ცოცხალი ხარ?.. მაშ სიზმარი იუო, რაცა ვნახე?....

—ცოცხალი ვარ, შეილო, ვერა მხედავ?.. ღმერთმა სი-ხმარი კეთილად აგიხდინოს.

შეე ამოსულიერ და გიგლიას თვალებში სცემდა. მამა ცოცხალი მოსულა და დედაც გახარებულია. გიგლიასაც

დაავიწევდა საშინელი სიზმარი და გახარებული ფეხსე წაძოხტა.

ბეჭნიერი იუო გიგლია, ბეჭნიერად გაუთენდა გიგლიას  
შობა ღღე.

ბარელი





ଦେଖିଲୁଛି କଲୋକା ଓ କିମ୍ବା କିମ୍ବା କାହାରେ?



ମୋର୍ତ୍ତମପୁଣି,  
ମୁଗ୍ଧାନ୍ତ  
ହାନିବାଲୀତ ମିଳିବି  
ଶାମିତାରୀ.  
ଶୁଣି ଶର୍ଦ୍ଦରୀ ଗୁଣିଶୁଣିବି—  
ରହିବ ଶାକାରିଷିନିବି ମହାଦ ଆହି.

ଏହି ଶାଦାପ ଆହି ଗାହିନିଦେବା  
ମାକାରାବଳାଦାପ ମେରିପୁରାଲୀ;  
କୁକୁରିକୁ ଦାର୍ଶନିକୁ  
ଦୁର୍ବିଧିକୁ ଗ୍ରହିତ ଦାମତ୍ରାଲୀ!

ଶୂରାଦିଗାନ ମିଳିବି.. ଫିନ ଯୁଦ୍ଧକୁ  
ଦେଖିବ ପଥରା ମତା ଲା ପଥରା ବୈଲି!..  
„ଯୁଦ୍ଧକୁ  
ଲୁହା-କିରା-ଦାର୍ଶନିକୁ  
ଲା କ୍ଷେତ୍ର-କିରା-ଦାର୍ଶନିକୁ,

ରହି ଆହ ଦାଗାଶିରିବ ହିତୁନାମ,  
ଲା ଯୁଦ୍ଧକା: ମିଳିବନିବାର!  
ମେ ଗୁଣିବ-ଯୁଦ୍ଧକା ମେମାତିବ,—  
ଶେର ଲମ୍ବରିତମା ଲାଗିବନିବାର!“

ଯେ ରହି ଲୋକା ହେଠିମା ଗାଧିବି,  
ବୁଝିବିବ କିଲାଦେଖିବ ମେରିପୁରାଲୀ:  
ଶାରଶାନିଦ୍ୟାଲ ମିଳିବ ନାଦୁରାହି  
ଆ ପାଥରିବି ମେ ତପାଲିବ.

ରହିବ ମନ୍ତ୍ରକିନ୍ଦା, ମହାଦ ଦାଵିଦି,  
ବାଜିବ ମାକାରାବିଲିବ!..  
ଗାମିଦେଲମାପ ମାରିଲି ଶେରିରା  
ପିଲା ଲା କ୍ଷେତ୍ରିକିଲି ପିଲାବିଲି.



მერცხლმა ბუდეს მიჰმართა,  
მოსძებნა ძევლი სახლ-კარი:  
მიგლესილს მყუდრო კუთხეში  
ვერც წვიმა სცემდა, ვერც ქარი!

იამა. ფრთა ფრთას შემოჰკრა,  
ჰიყვით კარში გავარდა.  
ჰკრა.... აუკიდა კამარა...  
ცხრა გვარად შეინავარდა.

ეწყინა ჭივჭავს, რომ ნახა,  
სოქვა: „ეს ვინ მოიწვიაო?  
სალხინოდ მოდის და ჭირი  
მას გულზე არ ასეიაო!..

ჩვენი ზაფხული თუ მოსწონს,  
რაღად იწუნებს ზამთარსო?  
ინდოა, გაუტანელი,  
მიჰყავს და მოჰყავს სხვა ქარსო!!

მე აქ ვარ დაბადებული,  
აქვე ვიზრდები, აქ ვკვდები,  
ჩემს ფერად-ფერად სამშობლოს  
ერთს წამსაც ვერა ვშორდები.

სიცხესაც ვიტან, ყინვასაც,  
ჩემის სამშობლოს ლხინს და ჭირს,  
და მერცხლივით სხვა მხრისკენ  
არც გულს ვიბრუნებ და არც პირს!

რა სიმართლე აქვს, რომ მოდის,  
მიხდება მოზიარეთო?  
ან სულ ჩემსავით დასახლდეს,  
ან გამეცალოს გარეთო!“



ჩაუჯდა მერცხალს ბუდეში,  
მიენდო მისვე საფარსა;  
ნისკარტით სცემდა, ჰყორტნიდა  
აბუჩად მოსულ სტუმარსა.

—  
კუდ-მაკრატელა, გულ-თეთრა  
გაფრინდა დალონებული.  
ბუდეში დარჩა კუდრაჭა  
ამაყი, გამარჯვებული.

—  
ამ დროს მოფრინდენ მერცხლები  
გუნდად და დასცეს კიჯნა;  
მაგრამ გარედამ მუქარამ  
შიგ მჯდომი ვერ შეაშინა!...

—  
ბუდიდან იშზირებოდა  
თავ-კისერ-მოლერებული!...  
რომ ვერას გახდენ მერცხლები,  
გაფრინდენ დამარცხებული.

—  
გაფრინდენ, მაგრამ ისვე  
მალე დაბრუნდენ სხვა სახით:  
ყველას ბრჭყალები აექსო  
და პირი სქელი ტალახით.

—  
მისცივდენ, ბუდეს დაუწყეს  
გლესა და ამოშენება,  
რადგანაც ნებით ბელურას  
გაფრენა აღარ ენება.

—  
თაღს უკეთებდენ, ბურთავდენ,  
რომ გამოელრჩოთ შიგ მტერი.  
მაშინ კი შეკრთა მამაცი  
შიშით ეცეალა მას ფერი.


## მერცხლისა ჭკიგჭკავის ომი

და გამოფრინდა ბუღილან...  
 დააგდო სხეისი სახლ-კარი,  
 რომ მაგიერი მიეზღო,  
 დაეცა მათთვის თავ-ზარი.

—  
 მალე დაბრუნდა ჭივჭავი  
 თავის მოძმების გუნდითა,—  
 ასე გახადეს მერცხლები,  
 ქვა ასროლიეს კუდითა!..


—  
 აქა-იქ მიფანტ-მოფანტეს,  
 დასძლიეს... ხელი დარიეს!..  
 მათი ტალახის შენობა  
 ზედ თავზე გადაანგრიეს.

ავავი





## ჩვენი მამალი



ეტად ამავრა ჩვენი მამალი: ეზოში მედიდურად დადის, ღრღვამოშებით შედგება და დაიუიულებს; ჯიჯლიბო გვერდზე გადაუგდია, როგორც თავუმომწონე ბიჭი გადიგდებს ხოლმე ქვედა. საუფერები სმლებივით ბოლოდამ უკანა აქებს გადა შვებული, თითქმის მიწაზე მიათრევს. მტრის მოსაგრი დე ზები შემოკაუჭებული აქვს; ეს დენები შები და ლახვარია, მტრის გასაგმირად დამზადებული.

ვაი იმ უცხო, მეზობლის მამალის, რომელიც ჩვენს ეზოში შემოსვლას გაჲყედავს: ჩვენი მამალი დაუხვდება წინ და შეუტევს ოცორც ლომი, აუტეს შემოსულს მტერს მედ გარს ომს. სასიკვდილედ შეებრძოლება ჩვენი მამალი მტერსა. გაიმართება მამლებ შორის ფარ-ხმლის ტრიალი: ქვეანა შეიძვრის იმათ ბრძოლისაგან, მზე დაბნელდება მამლების ფეხთა ანადენის მტერისაგან.

ერთად შეგროვილი დედლები ანწლებში, ღოლოებში ან ჭინჭრებში გულის ფანცქალით თვალს ადეგნებენ ამ ორის გმირის ბრძოლას, ხანდა-ხან აკუტეუტდებიან, ღმერთს ევედრებიან:

— «ღმერთო, შენ გაამარჯვებინე ჩვენს მამალის, დაამარცხე ბინე ეგ ვიღაც უცხო მამალი მოთრეულა; აქ, ჩვენ თვალს წინ, ჩვენს ეზოში ჩამჩლაუშობს და ჩვენზედ გაბატონება მოსწრებია.»

მამალმა გარგად იცის, რომ დედლებს ის ჩატოლ  
ნად მიაჩნიათ და თავ-გამოდებით იმიტომ იბრძვის, იბრძ  
ვის, თანაც თვალი და თვალი დედლებზე ჭრჩება: მოსწონთ,  
თუ არა ჩემი ბრძოლა, ჩემი გაუკაცობა.

უნდა მაშინ ნახოთ ჩვენი მამალი, როცა გაიმარჯვებს,  
— ან კი როდის არ გაუმარჯვნა! — როგორ ამავად, მეფუ  
რად გაივლი-გამოივლის ეზოში იქნება, თუ გალოში, გაი-  
ბრინება, მკერდს წინ გამოიშვერს, საეივრებს დასწევს, ელს  
მოიღერებს და რაც მალი და ლონე აქვს დაიეივლებს და  
დაიუივლებს: გაიგე მთაო და ბარო, ცავ და დედა-მიწავ,  
რომ გავიმარჯვე!

დაუმასხებს და შემოირტყამს გარეშემო დედლებს და ეუბნება  
იმათაც: — «გაიგეთ, დარწმუნდით, თქვენც, ქალებო და ქალ-  
ბატონებო, რომ გმირი ვარ, გმირი, უძლეველი გმირი! ნუ  
გეშინიანთ სხვის ხელში არ ჩაგერით, მე თუ ცოცხალი ვარ  
და სული მიდგა; მიწამ არ უნდა შეჭამოს ჩემი მკლავები,  
რომ ვერ გიჩატონოთ, ვერ მოვიაროთ!»

— ვიცით, ბატონო, ვიცით, უბასუხებენ დედლები: იმი-  
ტომ გვიყვარსარ, რომ ეგეთი გმირი ხარ და კარგი ჩვენი  
ჩატონი, უშენოთ ერთი დღეც ნუ გვაცოცხლოს დმერთმა!

— შეს ჯიჯლიბოს, ნისკარტს და დეზებს ვენაცვალე,  
— ეუბნება ერთი წერილი თვალებით ძოკირწელული  
თალებს კაბაზე, ლაბუა ნაცარა გარივა, რომელიც უკელაზე  
მეტად ეწონება და ეფერება მამალს, რომ მუდამ აშის მხრუნ-  
ველი და მფარველი იუს და სხვებში გამოარჩიოს. დედ-  
ლები იკონების მაშინდელს სიმამაცეს, როდესაც ქათ-  
მებს ქორმა დაუტია. ამ გაუმაძღარმა ფრინველმა ერთს



დედალს გაჭირა ბრწყეალი და მამალმაცი დაატოვებინდ...

ეს ამბავი ასე მოხდა. სწორედ გარიერაჟზე ჩამოყრინდა მამალი ქანდარიდამ, თან მოჭევნენ დედლები და უცდიდნენ პატრონს, რომ საჭირო დაექარა ქათმებისათვის; დასერონობდენ ეზოში, ფრთებს ისწორებდენ... მამალი მედიდურად მიდიოდოდიდა და ქათმებს არიგებდა, რომ არ გაფანტულიერენ. სწორედ ამ დროს დაუტია ქორმა, დაქურა ერთს მსუქანს დედალს, უნდოდა წაედო. გადასტა მამალი, შეუტია ქორს და გაჭირა დეზები. ქათმებმა ასტეს წიკო, ტირილი და ჩივილი: «ვაჭმე, ქორი, ვაჭმე ქორიო!» — გაისმოდა. მამალი და ქორი შეიბნენ, დიდხასს იბრძოლეს, მამალი გულადად იუ, მაგრამ ქორმა დასმუდა, რამდენსამე ადგილას დაგვიწრა, — ეს წელულები დღესაც ეტეობა ჩვენს მამალს: ერთი იარა კიდევ მოურჩა ნისკარტის მირზე; მეორე ჯიჯლიბოზე ეტეობა, ცალი კბილი ჯიჯლიბოსი მოგლევილი აქვს; მესამე ჭრილობა ბიბილოზეა, — რომელიც შეაზე აქვს განეთქილი...

ისის იუ თითქმის ქორს უნდა დაემდია მამალი, შეერცხვინა დედლებთან და, ვინ-იცის, იქნება შეეჭამა კიდეც, მაგრამ დედლები მიემველნენ თავის ბატონ-ხატონს, თავის მეუფეს... ქორმა ნისკარტ-გაღებულმა დაუუქმია დედლებს და გაფანტა; დედლებისაგან გამხნევებული ერთხელ კიდევ მოასტა მამალი, მაგრამ ამაღდ; ქორმა უანურატო დაუჭირა და გაითრია. საჭმე გაჭირდა, იღუბნებოდა გმირი, დიდის ოჯახის და ცოლ-შვილის პატონი ვაჭაცი!

სწორედ ამ დროს გამოსტა საიდამღაც ჩვენი კატა და გაუქნა მამლის მისაშეელებლად. ორ ნახა ქორმა კა

ტა, ანება თავი მამალს, ელფასავით სწრაფად წამოხტა,  
 გასწია და ო გასწია,—ენით გამოუთქმელია, როგორ შე-  
 შინებული მიათახთასებდა ქორი თავის ლეგა ფრთებს.  
 ათი ვერსი დაუსუენებლად იფრინა. შორს, შორს მთის მი-  
 რის დაჯდა ერთს ვერსებს და იქიდამ მუქარას უთვლიდა  
 მამალს:—«მოიცა, მამალო, თუ შენი ჯავრი არ ამოვიუარო,  
 და ჩემებურად, ქორულად ნაბუერი და ბდივერი არ აგადი-  
 ნო, თუ შენი დეზები აქ, ამ ვერსების ტოტს არ ჩამოვკიდო!»

მამალს ქორის ტრაბახი არ ესმოდა, გმირულად და-  
 სეირნობდა ეზოში დედლებს შეა და ეიოდა რაც მალი და  
 ღონე ჭერნდა:—«მოგხვდა თუ არა, ქორო, მე მამალს მემა-  
 ხიან, ეგ არაფერი, კვლავ უარესს მოელოდეო!»

## II

ქველთაგან ტეუილად კი არის ნათქვამი: ციხეს რა  
 გასტეხდა გარედამ, შიგნიდამ რომ არა ტედებოდესო. რამ-  
 დენი ომი გადუხდია ჩვენს მამალს სხვა მამლებთან, და ქორ-  
 თან სომ ეს მესამედა ჭერნდა ბრძოლა, და მაინც კიდევ გერ  
 გატეხეს მამალი, იმას ისევ მამლური გული შერჩა, მამ-  
 ლური მორთულობა და იარაღი. დღეს კი ლამის ეს სა-  
 ოცარი გმირი ჩამშულად გასდეს, დამცირდეს თავის ოჯა-  
 ხის თვალში. ან კი რაღა დამცირებაა საჭირო; თქვენი მტკ-  
 რი დამცირდეს და ჩაგარდეს იმ უოფაში, რა უოფაშაც ჩვე-  
 ნი მამალია დღეს.

სახლში მამლის საუბედუროდ ინდაურები გაიჩინეს,—  
 გაიჩინეს ეს აბლატი, ჩერჩეტი, კიუკივა ფრინვლები.  
 მამალს, რასაკვირველია, არ ეჭამიკა ინდაურების ფარ-



ფაში, იმათი ასმასი ტანი. ვანა მამალი იმიტომ  
იჭიმება, რომ სხვა ფრინველი გამობმანდეს ეწოში და  
გაუჭიმავად თთქმის ორჯელ მეტი სჩანდეს მამალზე?!  
ამას მამლის გული ვერ აიტანს. ეს უცხო ფრინვე-  
ლები ამის თვალუწინ ჰქენებს ქათმებთან ერთად საკენტ და  
აწილებენ კუსტიწილის, უნისარტებენ წიწილებს თავში?  
მამალი ამას ვერ დასთმობს, ვერა! იმას მალიან უევარს ჸა-  
ტარა წიწილები, ფუნჩულა ბუმბულით შეძლებილები რომ  
დაცუცუნებენ დაბლა და იმასთან: «წიაპ-წიაპ!»

წიწილებისა და იმათ დედების გულისფერის მამალმა  
რამდენიმე ინდაური ცალკეცლები გაღიანა. ბოლოს ინდა-  
ურებმა პირობა შეკრეს, რაკი თთოთ ვერას აკლებდა მა-  
მალს, რომ ერთად, კრებულად, დასხმოდენ თავსა და ჩა-  
ქოლათ...

ერთხელ ვამარტოებით მოიგდეს და მიესივნენ ერ-  
გელამხრივ ჩვენს მამალს ეს უუუჩი ინდაურები; თან  
უშნოდა ხტოდენ და თანაც სცემდენ საცოდავ მამალს, მთე-  
ლი ტანი დაუწელულეს, დაქოჩრეს, მაღიან დაქოჩრეს, გას-  
წიეს და გამოსწიეს. ჩვენმა მამალმა საოცარი, თუმცავი მო-  
სალოდნელი, გმირობა ვამოიჩინა და რამდენიმე ინდაური  
დასჭრა კლანჭით; მაგრამ რას ვახდებოდა საბრალო გმირი  
მტრის ურიცხვეს რაშმთან. მამალი თთქმის სულ გაატი-  
ტვლეს ინდაურებმა: საწეალს მხრის მირებში და ორგან-  
სამგან გვერდებში თუ ეკრა ბუმბული, თორებ დანარჩენი  
ტანი მთლიან გაუშიმელეს, ჯიჯლიბო ნახევარი გადააფცე-  
სნეს, საუივრები და, თთქმის, მთელი ბოლო მოაკვნიტეს.  
დღეს ამ ეოფაშია მამალი, საბრალო სანახავია სწორედ ეს  
დღესმე ახოვანი, გულოვანი და ტანოვანი გაჟერი. მტერსაც,

ქორესაც კი შეეცოდებოდა, მაგრამ ინდაურებმა არ შეიძლოდა:

მანამ მკლავში და მუხლში მაღა ჭიონდა მამალს, ის-  
რომოლა და ოცა დაიღალა, დაოსდა, არაქათი გამოელია,  
გატედა, რაცრაცით და ბარბაცით გასწია დასამალად. ინდა  
ურებმა დაჭიუინეს და დაესივნენ, მაგრამ ჩვენმა მამალმა  
ჭინჭრებში შეასწორო და ამით უშველა თავსა. ზედაც დიდი  
წეიმა დაუშვა; დასველდა, გაიღუსკა, გაიუინა და დააწევა  
ბინა ბაგბაგი მამალს. ამ ბაგბაგზე ბალდებმა მიაგნეს და  
გამოიუვანეს ნაომარი გმირი. მამალს სიარულის თავი აფა-  
რა ჭიონდა.

—ვაჭმე, ვაჭმე, ჩვენო მამალო,—ტირილის ხმაზე ამ-  
ბობდენ ბავშვები: როგორ უცემნიათ საწელისათვის მაგ-  
ონერს ინდაურებსა!

აიუვანეს, წამოიუვანეს და დასვეს კერაში ცეცხლაა-ირას. ჩვენს მამალს არ ესმოდა, არ იცოდა, რა აშშავი იქო იმის  
თავსა. მარტო ის ასეოვდა და იცოდა, რისთვისაც მიძვრე-  
ბოდა ჭინჭრებში: დედლებმა არ დაძინასონ შერცხვენილი,  
თავულათ დასხმულიო. დედლები უკვე ქანდარაზე ისხდენ  
გულ-ძეწუსებული და მოუთმქნდად ელოდენ მამლის მოსკ-  
ლას, იმით არ იცოდენ, თუ რა უბედურება ადგა მა-  
მალს. არ იცოდენ ბეზვებმა, რომ მამალს ინდაურებმა ფარ-  
ხმალი თავზე დააღლებს.

მამალი თვალებ-დასუტყული, ჩიჩდვადაკიდებული, მხრებ-  
დაშეებული, თავტან სისხლიანი საცოდავად, გულ-საკლავად  
იჯდ ცეცხლოთან და თბებოდა. იმისი მნახველი ბალდები  
უფრო მამალზე მეტად დანაღვლიანებული შესჩერებოდენ  
მამალს და ესვეწებოდენ ღმერთს: —«ღმერთო, შენ უშველე



ჩვენს მამალს, მოარჩინე, გაანთავიშუფლე წელულებისაკნ, რომ მტრების ჯავრი ამოიფაროსო!»

ერთ-ორ თვეს ცალკე დაბმის და კარგად ჭმებას უბი რობენ ბალდები მამალს.

არა უშავსოა, მამალი  
მაინც გმირია მაინცა,  
თუმცა კი მტრისა სიმრავლით  
მისი ღიღება ღაიქცა...  
ერთხელც იქნება მორჩება,  
ეკლის მოიღერებს გმირია,  
საგათენებოს იუივლებს:  
ეკლამ დავიფოთხოთ ძილია...  
მთა-ბარსაც აათამაშებს  
მამლის ქამანჩასტერია:  
«აღეგით, აიშალენით  
და დაიბანეთ ნირია!!»  
მითქამს და კიდევაც ვიტევი:  
მამალო, რასა სტირია?!  
ინდაურების სკერტვამა  
როგორ გაგტესა გმირია!!

ვაჟა-ფშაველა



ციცუნას სიზმარი

(ხალხური ლექსი, აღ. შირიანაშვილის გაგონ.)



იცუნა წევს და ხრუტუნებს, სიზმარსა ჰედავს  
ტკბილსაო:

ასი ულელი ეირ-თაგვა მასზედ ილესავს  
კბილსაო.

მამა ძის შეჭმას აბრალებს, შვილი-კი დედ-მამისასო;

ცოლი ქმარ-შვილის დაღუპვას, ძმანი საყვარლის  
დისასო;

ღარიბ-უნათესაონი — კეთილის მეზობლისასო, —  
ყველანი ერთად მოდიან თავის მოსისხლე მტრისასო.

მოდის დიდი და პატარა, მტერი აუდის შარასა;  
კუდები აუბზეკიათ, წრუშუნი გააქვს ფარასა.

თაგვისა ნახეოთ ციცუნას მთლად აუქრეოლდა ტანია;  
ამბობდა: „ერთიც ვერ ვნახე ეს ამოდენა ხანია,  
ეხლა-კი ბედი გამეხსნა, — კარზედ მომაღვა ფარაო;  
თითო რო გამოვიზოვო, ცხრა წელიწადი ქმარაო.“

ამ ფიქრებში რო შევიდა, ძალლისა ესმა ყეფაო.  
შიშითა თავ-ბრუ დაესხა, თითქმის ავეარდა კეფაო.  
ჩვენი ციცუნა წამოხტა, თვალების იწყო ფშვნეტაო;  
დიდის ხმით მორთო ტირილი: თაგვებს ვერ ვუწყე ჟლეტაო;  
საგლოვად ჩაჯდა ციხეში, კარები ჩაიკეტაო.






ჭიანჭველებმა უპასუხეს: „კარგი, სასჯელად მაგ ტანჯვას გაკმა-  
რებთ, შენსავით გულქვაობას არ გამოვიჩნით, შეგიბრალებთ და გა-  
პატივებთ, მხოლოდ ამ პირობით: დღეის შემდეგ შენ აღარ უნდა  
გაბეღლო არამც თუ ჩვენი წყენა, არამედ არაფერი არ უნდა დაუშაო  
სხვასაც, მეტადრე პატარასა და სუსტსაო.“

სპილომ ხელმეორედ შევთიცა და თავდებად მისცა მაღლა ცა  
და ძირს დედა-მიწა.

მაშინ გამარჯვებული ჭიანჭველები დაეხსნენ სპილოსა, ჩამოვიდ-  
ნენ ძირსა და მხიარულად წავიდნენ ახალის ბუდის ასაშენებლად.  
ჭიანჭველებს ისე თავის ძალის გამოჩენა უზარმაზარს სპილოზედ არ  
უხაროდათ, როგორც ისა, რომ სულგრძელობით და გულკეთილო-  
ბით აჯობეს მას.

იმ დღის შემდეგ სპილო შეიქმნა მეტად მომთმენი, სულგრძელი,  
მშვიდი და უწყინარი ცხოველი....

ი. გოგებაშვილი



## ბ ა ზ ა ლ ე თ ი ს ტ ბ ა



აზალეთისა ტბის ძირას  
ოქროს აკვანი არისო,  
და მის გარემო წყლის ქვეშე  
უცხო წალკოტი ყვავისო.

მწვანეა მუდამ წალკოტი,  
არას ღროს თურმე არ სჭინება,  
ქვეყნისა ღროთა ტრიალსა  
იგი არ ემორჩილება.

ვერ ერჩის თურმე მის მწვანეს  
ვერც სიცხე, ვერცა ზამთარი,  
და იმის მზიან-ჩრდილებში  
მუდამ გაზაფხული არი.

წალკოტის შუა გულშია  
ის აკვანი ასევნია,  
და ჯერ კაცთაგანს იქ ჩასვლა  
არავის გაუბედნია.

## ბაჟალე თის ტბა

### II

მარტო ერთნი სირინოზნი  
იმ აკვანს გარს ეხვევიან,  
მარტო იგინი გრძნეულნი  
დასტრფიან და დაპმლერიან....

ამბობენ თამარ-დელოფალს  
ის აკვანი იქ დაუღამს,  
და ერს თვისთა ცრემლო ნადენით  
ტბა კარვად ზედ გადუხურავს.

ამას კი ალარ ამბობენ,—  
აკვანში ეინ ჩაწვინა,  
ან თვით ერმა თვისი ცრემლი  
ზედ ტბად რისთვის დაადინა....

ილია ჭავჭავაძე



## შობა დამეს

(ფრანგული დამსახური)



## I

ორს, შორს ჩვენგან, სხვა ქვეყანაში ერთ დიდ ტყის განაპირას იდგა პატარა სახლი. სახლის წინ ბაღჩა იყო ეკლიო შემოლობილი. ამ სახლში სცხოვრობდა მეშეშე პეტრე თავისი ცოლითა. პეტრე და იმისი ცოლი მარინე ტყბილად ცხოვრობდნენ და შეჰაროდენ თვანთ ერთად ერთს ქალს, პატარა ვოგონას ელექტრებს.

ამათი სახლის სისუფთავე სწორედ სამაგალითო იყო. ქარი ყოველ დღე ტყეში შეშასა სჭრილა გასაყიდად, ცოლი სახლს უელიდა, მოცლილ დროს ფასილაც მუშაობდა — ხელო-საქმეს აკეთებდა; არც ელექტრებს ივიწყებდა, თავის პაწაწასთვის ტანისმაოსის შეკერვასაც ასწრობდა. ხუთი წლის ელექტრებს ამ ბოლოს ხანქში კი-დეც დაწყებინეს წერა-კითხვა.

კაი დარში მამა ხან-და-ხან ტყეში წაიყვანდა ხოლმე ელექტრების თხილის საკრეფად. ეს დღეები სწორედ დღესასწაული იყო ყმაწვილისთვისაც და შეილის მოყვარულ მამისთვისაცა. ოჯახის ნუგეში და გამაშნევებელი ელექტრები იყო. ეს ყმაწვილი გაუჩნდათ პირველ ვაჟი-შვილის შემდეგ, რომელიც მაღლე მოუკვდათ. მშობლები ძალიან სწუხდნენ და დარღობდნენ შვილის სიკვდილს. ნუგეში მიეცათ მხოლოდ მაშინ, როცა ქალი ეყოლათ. პეტრემ სიხარულით აღარ იცოდა რა ექნა, ღმერთს მხურვალე მადლობას სწირავდა.

ყმაწვილი გადაშლილ გარდსავით წითლად ღვიოდა. თავის ტირინით მოელს სახლს სიცოცხლეს აძლევდა. დედ-მამამ ერთი ორად მოუმატა მუშაობას, რომ ჩეენს ვოგონას არა დავაკლოთ რაო. ბევრჯელ დიდს გაჭირებაშიაც ჩავარდილან, სამუშაო გამოჰლევიათ,

საზრდო შემოჰკლებიათ და ხშირად მშეერნიც დარჩენილან, მიგრამ ერთი ორიოდე გროში მაინც ყოველთვის ჰქონიათ შავი დღისთვის გადაგდებული.

ოლონდ ამათ ელენეს არა დაჰკლებოდა რა და თითონ შიმშილ-საც არას დაგიდევლენენ. მოვიდოდა დღესასწაული და ელენეს უთუ-ოდ ან კაბას უყიდლენენ, ან სათამაშოს; მაგრამ უნდა გენახათ საბრა-ლო დედ-მამის მწუხარება, როდესაც ნაყაირათევი ვეღარ გასწვდე-ბოდა საჩუქარსა.

ელენე არც ერთს დღესასწაულს ისე არ მოელოდა, როგორც შობა დღეს, თავს მოაბეჭრებდა ხოლმე დედას ბევრის გამოკითხვით ქრისტეს შობის ამზავისა.

## II

ერთხელ პეტრეს ტყეში მოუგვიანდა. გადიოდა დღეები, შობა მოახლოებული იყო და პეტრე კი არსადა სჩანდა. მარინესაც საკერა-ვის ფული ჯერ ვერ აელო, შენახული ორიოდ გროშიც გაუ-თავდა. დადგა შობის წინა დღე.

—დედი, შობისთვის რას ამზადებ? დედი, როგორ გავატარებთ შობას? —ტიტინებდა ელენე, და ამის ტიტინი გულს უკლავდა საბრა-ლო დედას. მარინე ოხრავდა და ფრჯარას თვალს არ აშორებდა, თითქოს იქიდამ რაღაცა ნუკეშს და იმედს მოელისო. მაგრამ გარეთ შხოლოდ ქარს ზუზუნი გაჰკონდა და თოვლს აყრიდა ფანჯრებს. შაშვები ბალჩის ლობეზე შემომსხდარან და წითელ ეკალსა ჰკენკენ. ჩამავალი მშე ცას ალისფრად მოჰყენოდა. ზამთრის ცივი ღამე ნელ-ნელა მოიპარებოდა და მუქარას უთვლიდა, ვინც ღამე გარეთ დარ-ჩებოდა.

მარინემ მეორედ შეუკეთა ცეცხლს და ზედადგარზედ ქვაბი შედ-გა. მუხუდოს შექამაღს უმზადებდა თავის პეტრეს. შეღამდა. ქარი მატულობს, იმისი ზუზუნი ბანს აძლევს ცეცხლის შხიარულ გუგუნს. ელენე მისჯდომია დედას გვერდით და ისევ ქრისტეს შობის ამბავ-სა ჰკითხავს. სხვა რა დარღი აქვს ელენეს! დედას კი ორი დარღი აწუხებს: ერთი, რომ ყმაწვილი უსაჩუქროდ რჩება, მეორე—ქმარი არსადა სჩანს.

კარგა ღამემ გაიარა, პეტრე ტყიდამ ჯერაც არ დაბრუნებულა.



ამ დროს დამშეული მგლები დაწრწიან ტყეში, ნაღირი ტყიდამ გამოდის სახეტიალოდ. მარინე შიშვა აიტანა. „ვინ იცის, რა უბედურება შეემოხვა პეტრეს გზაში?“ — ფიქრობდა.

ელენეს ძილის დროუ მოვიდა, ყმაწვილს დედის კალთაში სთვლებდა; მარინემ ცეცხლა პირას გაჰადა ტანისამოსი და ჩაწვინა ქვეშაგებში.

ეხლა სულ მარტოდ მარტო დარჩა მარინე. შიშვა აიტანა და ცახცახი დაწყებინა. საშინელი ქარიშხალი ამოვარდა და საზარლად გაიღმუილებდა ხოლმე ხან-და-ხან.

დიდ ხანს არ დარჩენილა მარინე მარტოდ. აგერ მოესმა ნაცნობი ფეხის ხმა. პეტრემ შემოალო კარი და შემოვიდა მთლად შეთოველილი. ბელნიერებით სავსე იყო პეტრე, პატარის ქვეშაგებს რომ დაჰპედა; მერე გადაჰკოცნა ცოლს და მოქანული დაეშვა ცეცხლა პირას.

— სადა ხარ, კაცო?.. მე კი ჩემი დამემართა შენ ლოდინში და? ჰკითხა მარინემ.

— უჟ! საიდამ მოვდივარ რომ იცოდე!... ეჲ, რა სჯობია სახლის კერას!... ნარდი საჭე მქონდა ალებული, საშობაოდ მინდოდა გამეთავებინა, რომ ერთი-ორად ამედო ფული.... ჩვენი მოძღვარი სულ იმას გვიქადაგებს, ჩემო მარინე, რომ ღმერთი სწყალობს კარგს და გამრჯვე მუშაკსაო... აი ამიტომ მომიგვანდა ცოტად. შენ რისა გვშინოდა, ხომ ხედავ ამ ცულს და ნაჯახს, ან მგლები რას მიზამდენ და ან სხევა ვინ რას დამაკლებდა.

ქმარს სუფრა გაშლილი დაახეედრა მარინემ. დასხმული შეჭამდის ოშეივარი მაღლა ადიოდა. პეტრე მოუჯდა სუფრას და მაღდინად შეექცეოდა თავის კერძს, როგორც ნაჯაფავი და ნამუშავარი კაცი. ბევრი მდიდარი ინატრებდა ამის მაღას.

პეტრე თუმცა გულიანად სჭამდა პურსა, მაინც შეამჩნა, რომ იმისი მარინე ხელს არას აკარებდა და ჩაფიქრებული იჯდა.

— რა დაგმართეია, დედაკაცო, რას ჩაფიქრებულხარ? რატომ არასა სჭამ, ხომ ავად არა ხარ?

— არა, ჩემო კარგო, არა მიშავს რა.

— ხომ მხედავ, როგორ გამგელებული ვჭამ!... გემრიელი შეჭამადია. შენც ხელი მოჰკიდე.

— არა მშიან.

— შენ რაღაც დაგმართვია? მითხარ, რა მოხდა ჩემს აქ აზეულოვნაში? ელენე ხომ არ არის ავად?

— არა, არა; ელენეს არა უჭირს რა! — მე, მე მაწევს გულზე ნალველი. — ხომ იყი, რომ ხვალ შობაა. დღეს ელენემ მოელი დღე მოსვერება არ მომცა, სულ იმას მეტიტინგზოდა, ქრისტე რა საჩუქარს მომიტანსო. \*

ჰედავ იმის ფეხსაცმელს ბუხრის წინ, — ცარიელია. ფული არა მქონდა, რომ მეყიდნა რამე.

პეტრე ჯერ ცოტახანს გაჩუმდა. და მერე დაწყნარებით უთხრა თავის ცოლს:

— ნუ ნალვლობ, ჩემო კარგო, არა უშავს რა, საჩუქარი ცოტა დაუგვიანდება. ამ ერთ კვირაზედ, საახალწლოდ, მივიღებ ფულს. აბა, ჩენეს გოგონას მაშინ ვყუიდით კაი საჩუქარს! კმარა, ნუ ნალვლობ! ან კი რა არის სანალვლელი? ელენეს მოცდით რა დაუშავდება?... ხომ ჰედავ, მე რა გემრიელად შევექცევი, შენც აიღე კოვზი ხელში.

სუფრა მალე აალაგეს. პეტრემ შეუკეთა ცეცხლს ტყიდამ მოტანილი ფიჩი. ოთახი ერთბაშად განათლა. პატარა ხანს შემდეგ სახლში სიჩუმე ჩამოვარდა. დაღალული ცოლ-ქმარი ლრმა ძილს მიეცა; აღარც ქარიშხალი აწუხებდათ, აღარც ტყიდამ მგლების ღმული.

გათენებისას ქარი ჩავარდა. მიყრუებულ სახლში ფანჯრიდამ მერთალს ნათელს თვალი შემოეჭირა და ელენეს ქვეშაგებს დასჩერებოდა. ერთი საათი იქნებოდა, რაც ელენეს გაეღვიძნა და გათენებას ელოდა; თვალები ბუხრისკენ მიხერებოდა, საცა იმის ფეხსაცმელი ეწყო — მიიხედ-მოიხედა და რო ნახა, დედასა და მამას ჯერ ისევ სძინავთ, გადორცოცლა ქვეშაგებიდამ და ხელების ცაცუნით დაიწყო ფეხსაცმელების ძებნა; აი ერთს ფეხსაცმელს წაწყდა.

საწყალი ელენე! აკი ცარიელი დაპირება, — თვალები ცრემლებით აევსო. აგერ მეორე ფეხსაცმელიც იპოვა. ჩაყო შიგ ხელი და სიხარულისაგან გულმა ფანცქალი დაუწყო, ხელში რაღაცა მოედო, თბილი,

\* საფრანგეთში და სხვა უცხო ქვეყნებშიც ჩვეულებადა აქვთ, რომ საშიპალ უმაწვილესს უთუოდ რაიმე საჩუქარს მისცემენ. უმაწვილესს წინა დღით-ვე არ ეტყვიან, რა საჩუქარს უმზადებენ, და შიპა დამეს ფეხსაცმელში ჩაუწყობენ ხოლმე. უმაწვილესმა ეს კარგად იციან და ამიტომ შიპა დღეს, გაიღვიძებენ თუ არა, მაშინვე ფეხსაცმელს დაუწყებენ სინჯვას.

აბრეშუმიერით რბილი..... ეს მაგრად რაღა მომხედა ხელში! თითქოდა  
ვიღაცა ჩამჯდარა შიგ და ხელში ნისკარტს მცემსო! შეფთხრიალ-  
და!..... ელენემ თავი ველარ შეიმაგრა სიხარულით და შეჰყვირა:



— მამილო, დედილოჯან!

— რა ამბავი! რა იყო! — წამოიძახა ვიჟიერით წამოვარდნილმა  
პეტრემ: — ვინ მიძახის?

მარინეც წამოხტა და ეცა ელენეს.

— დედილო, დედილოჯან! ერთი მოდი ნახე! ფუფალა ქრის-  
ტეს რა მოუტანია ჩემთვის, — გახარებული ამბობდა ელენე. — უყურე!  
ფეხსაცმელში ცოცხალი ჩიტია, მერე რა ლამაზია!....

სიციეისაგან შეწუხებული გულ-წითელა ჩიტი ჩამოფრენილიყო  
ბუხარში გასათბობად და ესეც ელენესავით გათენებას ელოდა.

— ღვთის საჩუქარიაო, — ამბობდა პეტრე სიხარულით.

უფრო მეტად გახარებული იყო მარინე:

— ღვთის საჩუქარია, ღვთისა; ვენაცვალე იმის მადლს, რომ  
ჩემი ელენეს დარდი მომაშორა!

პეტრემ ძველი გალია მოძებნა, მოიტანა და ჩიტი შიგ ჩასვეს.

— რა დავარქეათო, — ეკითხებოდა ხან დედას და ხან მამას პა-

ტარა ელენე, რომელიც ქხლა სიხარულისაგან ფეხზე აღარ დგებოდა.

„ღვთის საჩუქარი,“ შეილო, — უთხრა დედამ. თუ არა და იცი  
რა: — შობა ღამეს ხომ ალილოზე დადიან ხოლმე, შეილო! ეგ სა-  
წყალიც ალილოზე მოსულა, — მაშ მოდი, შეილო, და „ალილო“ და-  
ვარქვათ.

დაერქვა მას დღეს აქეთ ამ ღვთის ნაჩუქარს ჩიტს „ალილო.“

— „ალილო!“ შესძახებდა ალექსიონ ელენე, და „ალილოც“  
დაიწყებდა ჭიკჭიკს, თითქოს ელენეს პასუხს აძლევსო.



## ଶ୍ରୀକୃତ୍ସନ୍ଧି

(ଚିତ୍ରଣ ରୂପୁଲୋଙ୍ଗାନ)



ନ ଶ୍ରୀକୃତ୍ସନ୍ଧି ଗନ୍ଧାରା, ତୁମ୍ହାରୀରେ, ତମା-କୁଷିଜୁକୀନି,  
 ର୍ଯ୍ୟା ଫିଲିସ ତୁ ପ୍ରାଣ ଦାଲାନା, ସାକ୍ଷେ ମେତ୍ରପ୍ରେଲୀ, କୁବୀନି;  
 ଅନ୍ଧ ଦାମିନାକା, ଶ୍ରୀରାଧା, ଲାମି ଉକ୍ତରନ୍ଦା ତିରଥୀରେ,  
 ଶ୍ରୀଲାପୁ ଏହି ଶ୍ରୀରାଧା, ପ୍ରଦିଲ୍ଲା ପ୍ରଦିଲ୍ଲା ଗଣାପିନଥୀରେ,  
 ମାତ୍ରିନ ସନ୍ତୁଲ୍ଲେଲୀ, ହିତ-କାଦା, ଶ୍ରୀରାଧା ରାମାରୀପୁ ପ୍ରେଲୀରୀ,—  
 ଫିନ ଚାପଦେଖ ମିଳାତ୍ମକରେବିଲାଇ, ତମାରେ ଗାଢ଼ୁଶ୍ଵର କ୍ଷେତ୍ରରୀ,  
 ମେହି ଚିନ୍ମାରିଲା କମିତ ଲା ତୁମିଲାଇ ଶ୍ରୀରାଧାରେ ଆଲ୍ଲାରୀନାଇ:  
 — „ନେହା ଲା-ମାନି ତୁ ପ୍ରାଣାନ୍ତି? ଶ୍ରୀଲ ରାମଦେବି ବାହିର ମିଳାନାତ?“  
 — „ଶ୍ରୀଲିନ୍ଦି ବାହିର“—ମିଳକରା, „ବାତିନିନ: ଏହି ଗ୍ରେଟିଶ୍ଵର ଚିଲ୍ଲାମିଳା,  
 ଏହିନ ସନ୍ତୁଲ୍ଲେବିଶି ଚାପଦେଖ, ସାମ୍ରାଜ୍ୟାନଥୀରେ ମାତ୍ରିନା,  
 ଏହିନ ଲା-ମାନି ଲାଭମାର୍କେତ, ଲାଭାଧିଷ୍ଟୁତୀ ମିଳାରେତା,  
 ଏହିତିପୁ ମେ, ଦେଲାସତାନା ବାହା.... ଲାକା, ଶ୍ରୀଲିନ୍ଦି ବାହିର ଶିରାରେତା“...  
 — „ଏହା ଅମ୍ବାଦ, ଗନ୍ଧାର? ତୁ ଏହିନ ତକ୍ଷର୍ଣ୍ଣ ମିଳିଲା ମିଳାର୍କେତା,  
 ଶ୍ରୀଲିନ୍ଦି ଯୁଗ୍ମିଲକାହିର ମାତ୍ର କ୍ଷେତ୍ରରେ ପ୍ରାଣ ଲା ଗାହିରେତା?“  
 — „ଏହା, ଦେଲାସ ମହେମ, ବାତିନିନ!... ଶ୍ରୀଲିନ୍ଦି ବାହିର ଶିରାର୍କେଦ ଲା-ମାନି:  
 ଏହି ଏହା ଅଶାତୁଲାଗୀ, ଏହିତ ମେ, ଅନ୍ତକ୍ଷଣିପୁ କେବଳ ଶ୍ରୀଲିନ୍ଦି?“...  
 — „କିଲ୍ଲେ!... କିଲ୍ଲେ ମିଳିବେଶି ମଧ୍ୟନିବା?... ଏହା ଏହା ଅମ୍ବାଦ, ଲାକା?...  
 ଶ୍ରୀଲିନ୍ଦି ଯୁଗ୍ମିଲକାହିର, ତୁ ମାର୍କଟିଲା ଏହି ଏହା ଅଶାତୁଲାଗୀ!!“  
 — „ଶ୍ରୀଲିନ୍ଦି ବାହିର, ମାତ୍ରା, ଦେଲାସ ମହେମ!.. କ୍ଷେତ୍ର ମିଳାକ୍ଷେତ୍ରରେ?.. ରାମମିଳିଲି?!!..  
 ଶ୍ରୀଲ ଏତେ ବୀଜୁ ଏହି ଏହିନ ହେବନିଲାଗାନ ସାଶାତୁଲାନମିଳିଲି....  
 ମେ ଏହି ଚାପଦେଖି ଫିନଦାଲ ପ୍ରାଣରେ, ପ୍ରାଣରେ ଏହି ପ୍ରଦିଲ୍ଲା ଲା-ମାନା,  
 ମତବାହି ଗ୍ରୀବାନାତେବେ ଲାମାରୀଲ, ଲେବା ମହେବି ତିରଥୀରେ ମିଳାନା.  
 ରାମାରୀର ପ୍ରାଣରେ ଏହି ପ୍ରଦିଲ୍ଲା ଲା ପ୍ରାଣରେ ଏହି ପ୍ରଦିଲ୍ଲା ଗାହିରିଲା,  
 କାନ ଏହି ଚାପଦେଖ ମିଳାନିବେଶି ଲା ମିଳାନିବେଶି ଏହି ଚାପଦେଖି...  
 କିମି ଲାକା କ୍ଷେତ୍ରରେ ଏହି ଏହିନ ଏହି ଏହିନ ଏହି ଏହିନ,

მოგეშორდა, მორჩა ტანჯვასა, იმას უშველა ფუფალამ...  
 დავასაფლავეთ... როცა რომ ამწეანდა ბალი და ველი,  
 თან წავიყვანე ტიტიკო და კეკელასთან მიველი...  
 იქ ვითამაშეთ, ვიცელქეთ, იები ვერიფეთ მთელ დღესა...  
 დაზამთრდა... ტიტოც მოგვიყვალა, გვერდთ მოვუწეინეთ კეკესა!“..  
 — „მაშ რამდენი ხართ, პაწიავ?.. ორნი თუ ზეცას არიან?...  
 ხუთნი იქნებით თქვენ ეხლა, რომ ჩაუფიქრდე გვარიან“...  
 — „არა, ბიძიავ, შეიღინი ვართ... არ მოკცდეს ჩემი თავია!“...  
 — „ხუთნი იქნებით, გოგონავ, ორნი თუ ასაფლავიან?“  
 — „რა ვქნა, რა წყალში ჩავარდე“, — იძახდა: „თუ მწამს ღმერთია!..  
 შეიღინი ვართ, შეიღინი, დედას მზემ, ყველა და-ძმანი ერთიან“...

რ. ერისთავი



## სამი გლახა და ქრისტელმერთი



(ზღაპარი)

ყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო სამი უქნელ-უყოლელი გლახა. არაფერი არ ებადათ. დადიოდენ მუდამ დღე და ითხოვდენ, იმითი იკვებებოდენ და გამოდიოდენ ნაგლახავარით დღიოთ-დღე.

ერთხელ სამივე გლახა მიდიოდენ გზასა. იარეს, იარეს და შემოხვდათ გლახად ჩატმული ქრისტე ღმერთი. მიემშეიდობა, გაუამხანგდა და წავიდნენ ერთად. მიადგნენ ერთს მდინარეს, დალიკს წყალი, და ქრისტე-ღმერთმა ჰკითხა გლახებს:

— „ვის რა გინდათ, რომ ღმერთმა მოგცეთო?“

ერთმა გლახამ გაჰქედა რიყიან ჭალას და უთხრა:

— „მე იმას ვინატრებდიო, რომ მექცეს ეს რიყე ცხვრად, მე მეცხვარედა, ის ცხვარი ჩემი ჰქნა და მაცხოვრაო.“

იქცა რიყე ცხვრად, გლახა მეცხვარედ და გაჰყვა უკან, გაუქეჩა და გარეკა.

— ღმერთი არ დაივიწყოთ, — უთხრა იმ გლახას ქრისტემ.

გაიარეს კიდევ და ჰკითხა კიდევ ერთს:

— „შენ რაღა გინდაო?“

— მე მინდა, რომ ეს წვრილიანი (წვრილმანა, ბუჩქარი) იქცეს ვენახად და მე პატრონი ვიყვეო.“

უქცია ქრისტემ ეს უზარმაზარი წვრილიანი ვენახად, უთხრა: — „ღმერთი არ დაივიწყოვ“, და გაჰშორდა.

მესამესა ჰკითხა:

— „შენ რაღას ინატრებო?“

— მე ხარ-გუთანს ვინატრებდიო.

მისცა ქრისტე-ღმერთმა ხარ-გუთანი, უთხრა, ღმერთი არ დაივიწყოვ, და გაჰშორდა.

# სამი გლობა და ქრისტეფლერთი



ითხოვა ცოლი ცხვრის პატრონმა, აიშენა სახლი, გაამრავლა ცხვარი, რომ იმის ცხვარს მთელი ქვეყანა ეჭირა, გაიმრავლა მწყემ-სი და მოჯამაგირე: დაიწყო მდიდრული ცხოვრება.

გაუშენა ვენახის პატრონმა ვაზი, გაკეთა ისეთი ზეარი, რომ იმისთანა ზეარი მთელს ქვეყანაზედ არავისა ჰქონდა. შეირთო ცო-ლი და გახდა მეკომური.

ხარ-გუთნის პატრონმა უფრო უკეთესად იცხოვრა....

გავიდა ხანი და ღრო. ჩამოუარა იესო ქრისტემ მეცხვარეს, ისევ გლახად ჩამოუმა. მეცხვარე ცხვარსა ჰპარსავდა. ქრისტე-ღმერთ-მა ერთი კრაველი (კანძი) სოხოვა: არაფერი მაცვია, წინდებს მანც დავაქსოვინებო.

— გადმოუყარეთ რაც რამ კვირტია და გამოუსადეგარიო.

გადმოუყარეს კვირტი და გამოუსადეგარი მატყლი გლახას. და-სწყევლა ქრისტე-ღმერთმა მეცხვარე. ექუა ცხვარი ისევ რიყედ. ღა-რჩა ისევ ხელცარიელი მეცხვარე და ისევ გლახაობა დაიწყო.

ჩამოუარა ახლა მეცვენახეს. როველი ჰქონდა.

— ღვთის გულისთვის ცოტა ყურძენი მაჭამეთ, გლახა ვარო, — დაუძახა ქრისტე-ღმერთმა.

— წაიღეთ, ბიჭო, და „ძალლი—არ ჭამა“ (ძალლ-ყურძენა) გა-დაუყარეთო, — უთხრა ბიჭებს პატრონმა.

ბიჭებმაც აიღეს და „ძალლი—არ ჭამა“ გადმოუყარეს.

დაჲსწყევლა ქრისტე-ღმერთმა და ისევ წვრილიანად აქცია იმისი ზეარი და ვენახი.

ქრისტე-ღმერთმა ახლა გუთნის დედას ჩამოუარა.

— პატარა პური მაჭამეო, — შესძახა სახლის პატრონს.

გუთნის დედაშ მაშინვე მიიპატიქა შინ გლახად ჩამოული ქრის-ტე-ღმერთი, დაჲბანა ხელები და ფეხები, დაუგო, მოუტანა რაც კი ებადა და გაუმასპინძლდა გულ-უხვად. აკურთხა ქრისტემ და გაჲ-შორდა. იქცა წვრილიანი ვენახად, ღორღი ცხვრად და გუთნის დე-და იმათ პატრონად....

ჭირი იქ დავაგდე, ლხინი აქ მოვიტანე.



## ჩ ვ თ ი ს შ ვ ი ლ ი

## I



ექსი სუთის წლისა იყო, როდესაც უცავილი და-  
რა ბერივანთ დად ოჯახს. ქმარის გვირის განმავ-  
ლობაში დადი თუ შატარა სულ ჰერესებივით ელაგ-  
ნენ ღოვანში. რასაკვირველაა, ღემსოც არ გადურჩა  
ამ საშინელ სესა, რადგან ისიც. როგორც მთე-

ლი ოჯახი, აუცრედი იყო უცავილის. შირველის კე დღეს აკადმიუ-  
ოფისია ისეთი საშინელი სიცეს მისცა ბავშვებს, რომ გონიერ და  
მოჯევა ბოდებს; სასეზედ შევი ალმური ასდიოდა და სელებს აქეთ იქით  
აწევეტდა.

იმისი დედა მელანო მწუხარებისგან გაშრა, მაგრამ რას გააწყობდა.  
გალიაზე გადიწვინა თავისი ერთად ქრთი ბიჭუნა ღემსუა და თვალებში  
ჩატურებდა დღე და ღამე. აკადმიუოფი არც სწამდა, არც სკამდა და მხო-  
ლოდ გულის საედეგად გმისავდა.

მარტის ნასეკრო იყო,—ქრთ, წვიმა, თოვლი სულ ერთმანეთში  
ირეოდა და კორიანტელს აუქენებდა დედა-მიწას. ბერივანთ ფარდადადა სის  
დარბაზში მარტის გაუი ქარი თავის უფლებდ ნაკადობდა და უცავილით  
აკადმიუოფებს სესა უფრო უძნელებდა. ერთ გვირაში სუთი ბავშვი დასხა-  
ვდოვებს ამათ ოჯახიდგან; მელო თოთოდა შიშით და რაც მალი და ღონე  
ჭჭონდა გულში იგრძედა ღემსისას. რომ კაც არ წერთმია მუსთავდს, უმა-  
წევილების მტერს, უცავილს.

ღემსი მთლად დასივდე, ტიგბურასავით გაიბერა და სულთ-მძმევი  
შეიქნა. მელანო თითქმას სუგეუ დაგარგული იყო ღემსის გამობრუნება—

Քյ, մաշրամ մյայիս քղեց ծավալու պահանջա և ա գանցար, եղինու յինչո արա քարութա օարյո թյա պյա, յնա, ոզալոյն ա առա, ոզալոյն յա յա ըմուբրյոն պահանջա պյալութա.

Մյառամ օանենու մայսեմու և ա օմու օանենու պյառո մառյմաս մաս գազա, մոնամ սօմլութա, — ոզալոյն օգան մյանայիւթա մայսեմու սօնութա քյան և ա մզալու պյանեռակա և սեկեթյա սբութա.

Մյառամ օմյայիս քղեց դմյառու մյանայիս մայսեմու և ա լոյմա ըմությոն; սօնեյ չամութա և ա մմութա օզութա.

Մյառա սօնսարյալուսցան մտաճա չյանցալու և սեխյառու յամու ոմյա մայսեմունա. լոյմառ քամո յար քանուսա, ելոյնու նորունո քանիյու և սյսկուս սմու բնմասցազա: քյա, սենութա անտյ, ծեյլա, — և ա սցութա ոզալոյն զայլա, մաշրամ ըյալութա, — օմու յյատառյա յրտմենյառի մյանայիս պյանեմու յայլութա ու ուրութա օարու. օարու մայսեմու յմյանցան յմյանցա և ոզալու սօնսառու մոյեմու նակասառուս.

Մզալու. յար սեճչ? յա մյան մայսեմու! — սամութա մյանցա սանյամա մյառամ և քամո ելոյն զայլա.

## II

Ճակացեյլու քաֆա. միյմ տագու սեօզյուս սօտեռու ապպա արյամառյ. ըյյա ոյառութա մյամուս, մոնքութիս յյայութիս նօնոյնեցյ և ա թջանսացա միշայել քյալութին. զյունու քյանու ուրուցալու և ուրուցալու քոյքիզա յրտմենյու ն.ն. ամլոյն. նյունու շյան, քյալոյն, Պամուռա սացան զայսոնյա և մյանցան, զալեզյեն, նյունու ազենյ և սօնսարյա ու մործութին, ույ մոյեմայնութա, ուրութա, քունու սենու մյեյրյան յմքայ. յնճռութա նօնու մայյա մոյեմութին.

Սուցլու սեցս զամանիյա զայրու. զատիս, մյանամ և անիյու, մեռ լու սանութա, արտազ ոզալու քաթմայութիւն լոյմառ յարութա զամութա ոզալու զամութիւն յայնութիւն նյանու սեցս. ելոմոյանյայութա զամութիւն սուցմ լոյն լոյմառ ու ուրութիւն և հրմանու սացս ոզալու յութա: չի ոչյի, մզալու, յիյմու ա ա գա. ուրութիւն յա ու ուրութիւն:

լոյմառ ոչյա յմռայա և մեռութա ոզալու յյանու մաեցութաս արյանց մացաւ: մայյ մոյեմա օմուս սմյա յույյա զյար սմայրութաս զարիյաս. սմու ա զամոյայնութա արց կորինուս նորոյո, արց նյանութաս քոյ-



Քոյս, առց պատռյեմուս մերալո, առց ջադյեն ներյառ շյուս, ուղիղաց մատ քաշյանց հեմովունագյեց և մեսարյան մոյթյեռաւ տագու զնօսացը.

մաշնամ լայլիս ուղարկեմ առ քայլութեալա քյան բարոյեմուս և ուղից ցորութա քարից և սանեա զաշյեմու ծութանա: ծակացնա, սատյունե, զալու-սանելու մալյ պարա և ոյ քյան ուղարկ սուցեանատ և նյմքը սրբաւագ տագուսայա գարից և սյանանա. նյմքը սուցյանտան սելու մեցանոյ ըսպանաց քահանա: ոյ լայլիս զյանամա զանցից ուղարկ սուլա միշենյեց և մույզու սաստանատ օւմենա մաճալ սյենից նյյունայան ու շյունանա ու ուղարկ սուլու մեյծի լուսանա:

քատպահցից յանեմ մա գուրչաց մաճան լայլիս և առց յանչալյետ մարտուն զյան սայլանա օյն. առա զարց նետ մոյ առ հեմ յանցանոյ և տատուս նյյունադատ առ յմենս նալսեն մյա սյանյալազնա ու առ լուսնիութեա ըսպանու ընկու.

### III

տուս վնաս ոյր լայլիս, առա օմեսո քյան մյանու զանցանցանա. քանիս յնյեցյան ծոմե յնարունագ և անձան. մուշալա սամյամու ըսպա-լուս սուրյան ծոյմյան և մուշալյուս մունելու. օմես ծոմես ցուլյեն սառյա-նա և սյմյեն և տագուս յմանյանաց մուզ յմազյանցնեն, և ներյառ անո-ւա ոյր զանուս մարան, առց առազօն քամեն և առց առազօն քամյանյելու և քամեյնս ոյր օմեսուզուս.

լայլիս օյնեց մուզ յանչա մարտու մարտու սարյան և զյ-դուս սոյցանուս յմքը տառյմուս մույզ լայլիս արարեն ոյ և զյա-ն և մուս մեռալու նյունա սակմյան ու նյմազանուն. օմես յուսի-մյունան ոյնանի, հասացանյան, ոյն մու յիսարցնուն, մաշնամ մեն մալ-լազ-ի սայցան յարացօն յյոնցնուն, յոյունաս օմես գոցա յուզյանուս օմես մասարնեց ոյր և անցուս նյունան քանցուս անցուս.

— զանուս նյունա, զանուս նյունա, իյմո լայլիս, սյան առազօն սելուր! — սասիսից և ըլուն սելուն տագուս ծուս նետ մուս քյանցիյուս զան և տա-ց կյ սյան զանցիցմա առաւա տացան ուղարկ ու նյունանուն առալուս.

յունա նյմանցումուս քյան սուսայ նյանան սազման մարտիս յա-լայլիս յանցիմա գարնամ մաշնամ և նյունանուս հեմանց, սալամանց, ուղա-

\* զանուս նյունա գլուխյուս նրան յման.

სარ სტუმარი და მასშინმედი კერას გარშემო ვასშის შემოუსხმული კანონის გუნდულში უწინვეტა ბრძანა და იმისა ვინაობა იყოთხა.

— ეს შატარა ჩემი მმისწულია, ორთავ თვალით ბრძანა და ობოლი, უბუღური, — მოღასკრით მიუგო გოგიამ ვაჭარს.

ვაჭარის შემდეგ ვაჭარს გოგია გარშედ გაისმო და უთხოს: — მაგოდენა ბიჭი არე ტუფილ-უბრალოდ რას გოგდით სასლში? კამის მეტს რას გიგეობთ? მოდი მე მომეწიო მოჯამებირედ, ტუფილი მცირდლიც მოგავლებათ და ცოტაოდენ ფულსაც ჩატანისალებთ კიბეში.

— ორთავ თვალით ბრძანი რა მოჯამარიობა უნდა გაგიწიოს?

— მაგისი მე ვიცი. — ეშმაკურად გაიღიმა ვაჭარმა. მე სიუმაწვიალეში საზოგადო ვიყვავი, კარგი სიმღერა და ჩონგური ვიცი. ერთ თვეში ისე-თი სიმღერა და თარი ვასწავლი მაგ უსინათლოს, რომ, ვიც გაიგონოს. სოჭვას, გიცხონდა ასტატი-მასწავლებლით.

— მერე თარი და ჩონგური მოჯამარიეს რაში უნდა გამოაუყენებინო? უკუჩივით ეკითხებოდა გოგია დარჩეს.

— რაში უნდა გამოიყენოს? მაგის მერე შეიტყობ. ესლა მოდა სელი სელის დაჭარი და უწინ მმისწული მე მომე. ზირკელ წელიწადს სე-თი მანათი მოგცე, მეორეს თუმცნი, მერე თარი თუმცნი. ამისთვის ისე ჩა-გაცე, ღია. რომ უწინ მორჩინებული. სელ წალით და ჩემტებით ვატარო. ჭრი ვაღევ შირობაც მოგცე. რომ გამოჩენილი ჭრის ვაჭერი და თვა-ლებაც აკუსტიკონ.

— მართლა! თუ, თუ მაგ საჭმეს გვიზამ, ღმერთიც დაგომადლებს და გაციცა. რას ამბობ, ადამიანი, თუ მაგ სიკეთეს დაგვავლებ, კამაგი-რი კი არა. უმაღ გაგიხდი მაგ ერთ ბიჭის და ის არა.

— მაშ, მაშ, საძვრილად თვალებს ავასელინებ.

ასე ამ რიგად გოგია დაჭვება ვაჭარს და ლექსოს ბედი სამუდამოდ გადაწყვიტა.

#### IV

ჩემურების ბოლოში, იქ. სადაც ქალაქის ეს საწილი თვალება და იწყება ავლაბარი, სასეპარზედ დანგრეულ აღიზის სახლში ცხოვრობის ვა-ჭარი დარჩეო მარტიორუზიანი; ეს სასა-და-სხვა ვაჭრობის ებიჯება. მაგრამ როგორდაც ბედი სელს არ უმართდეს და იმის საჭმები ძღვიერ უგვაროდ მიდის. ბრძან ლექსოს დანახვაზედ წაბლოვანში, ამას თვეში ერთმა ფიქრ-მა გაუმღვა და გიდეც უეუდგა იმის სარულების. ამას მოიფიქრა: ოთხ-



VI

ლექსო დიდხანს იყო თავისუფალი სოფელში, ამას ისეთ ნაირად უკარდა მინდვრის სიო, ტეის მუდროება, წეარის ანგარა გემრიელი წეალი და გუთის დედის სევდანი სიმღერა, თავის სოფლის გაშლილი არე-მარე, რომ ქალაქში უცნაურად გადმოსასხლებამ ზნეობით მოლად და-ამაბენა. საშინელი იყო ამის მდგომარეობა უფრო მით, რომ ამას დას-ლოებითაც კერძოში წარმოდგინა, თუ სად იყო, რა ერტყა გარშემო და რა რიგ სალეში ტრიალებდა.

ქალაქის მუდმივი მოძრაობა და გმინება აშინებდა, უგულო და მუდამ მცუქჩავი სასლის პატრონები თავს-ზეც სცემდენ; და შეუწევეტელი სიმ-ღერა და კარის-კარ წანწალი სრულიად ძალას ართმევდენ იმის, კავის შეუწეველ, სხეულს. შემოდგომა და ზამთარი როგორც იყო საცოდაო-ბით გააჩანჩხდა ლექსომ, და ზაფხულში კი სრულიად მოსწერდა. ამის ზნეობრივ ტახანჯას და მწესარებას თავის სოფლისთვის, დაქარა ტფიალი-სის საშინელი სიცხე, სულის შემსუთველი ჭირი, დებელა. ნად-გომი წეალი, და თიბათვეში არმოც თუ არმოცდა თუ კარის მოვლაც დარ შეეძლო ლექსოს.

თუმცა დარჩო ბეჭებ სცემდა, გიქო ბეჭებ უკვიროდა და აქტებდა წინ წასასკლელად, მაგრამ მოძრაობა ლექსოსთვის შეუძლებელი შეიქნა, და, როგორც ძირში მოჰკრიდი ხე. ისე დაეცა.

ლექსოს არც სიცხე ჭრანდა, არც ახელებდა, არც მუცელს და თავს იტყიებდა, მაგრამ მოლად კი დადნა: მაგრა, მსარბეჭე-გაშლილ სოფლელ ბიჭის მაგივრად, ის მუმაად იქცა და თავის ნოტიო გუნჯულში, და-რჩეუს სარდაფში, პატარა სალიჩის ნაგლეჯზედ, ლოგინის მაგივრად, დღითით დღე ესაღმებოდა წუთი სოფელს.

VII

დარჩომ რომ ნასა ლექსოს ამ გვარი უიმედო მდგომარეობა. შეშინ-და, — იცოდა რომ გოგია არ აპატიებდა ამას ამ დანაშაულს, და საჩქაროდ დაიბარა ის ქალაქში.

თუმცა სოფლები გახურებული მუშაობა იყო, ჭირნასული მოლად შემოსატანი და გასაღები ჭრანდა გოგიას, მაგრამ უკელას თავი დანება და საჩქაროდ გამოეშერა ტფილისისკენ.

გოგიას სინიდისი ძლიერ სტანჯადა, რომ თავისი „ღვთის შვი-



და” კიდაცა მაწანწალა კაცების მითხვო და გზაში ღმერთის უნდღის მისამართის ეკვიტებოდა. რომ დექტერს ცოცხალის მივუსწოდო.— კაიძე. შვადო, თუ მშეორმა, მწყურვალმა და სელმეორედ დაბლებულმა უცხო სახლში გერ გასიქლ და დამიჭიდებდა!

დექტერმ იმ დამეს, რა დამესაც ბიძა უნდა ჩამოსკლოდა, სახმერო საზმარი ნახს: კითხომ ამისი დედა მელანო კეპრზედ მოკეცილი იყდა, კადთაში თავის დექტერს თავი ედო და ტებილის სმით ავანსის უქბნებოდა; სარება ღალატ მათირევდნ კეპის და სადამოს ნავა სისამოვნოდ უწერდა ლექტერს ქათოს და უგრილებდა ოფლიან მხარ-ბეჭე. გოგიას დაინახა რძლის ამ გვარი ცუდლუტობა და თავის ბოსის სმით დაუშტიალა: მეღარია, მეღარია! სარება გარემო. კეპის გა ნე დაგეძინა, ხომ სედა მჩერ რა რიგად გადიწია!

დექტერმ ამ სატეკპზედ გამოიღვიმა, წამოსტომა მოიხდომა, მაგრამ სისუსტისაგან დაბარბარდა, და ბირს დაეცემოდა, რომ ის იყო რგინის გზიდამ მოსულს გოგის არ შემაგრებინა.

— რა იყო, შეიღო, რისა უგებშინდა? — ტებილის ალექსით უთხრა ბიძამ ლექტერს და მსურველედ გულში ჩაიკრა.

— ბიძა, ბიძა, შენი? — მოსკელ?... და დექტერ უდონოდ გოგის გულზედ დაეჭა.

— ნე გეშინიან, ჩემო ბიჭუნავ, ყოჩადად იყავ. ღონე მოიკრიბე და ხვალე ჩვენ დამაზ წაბლოვანში წაგიუგინ.

ეს. გაბაშვილისა



## თ ე ჭ ე ო ს

## I

**0**ქვენ უთუოდ გაგევონებათ სიტყვა „საბერძნეთი“. ამ სახელს უწოდებენ ერთს ქვეყანას, რომელიც მდებარებს ეროვაში, ბალყანის ნახევარ-კუნძულზე. იმ ქვეყნის მცხოვრებთ ბერძნებს ეძახიან. დიდი ხანია, რაც საბერძნეთი არსებობს,—სამი ათას წელიწადზე მეტი იქნება. ქველად, ქრისტეს დაბადებამდის, ძალიან შესანიშნავი იყო ეს ქვეყანა. იმდენი ჩინებული კაცი გამოსულა იქ, იმდენი მეცნიერი და შესანიშნავი თავის კეთილი საქედებით, რომ ახლაც სამაგალითოდ ჩაითვლებიან ჩვენთვის, თუმცა იმათსა და ჩვენს შუა ბეკრს საუკუნეს გაუვლია. მე მსურს გავაცნო ჩვენს პატარა მკითხველებს იმ ძველის ღროის ღიდებული გმირები.

ერთი ამისთანა გმირი იყო თეზეოს, რომელზედაც ეხლა მინდა გიამბოთ. საბერძნეთის სატახტო ქალაქს ათიაში იჯდა მეფე, სახელად ეგვეს. შუაკაცობას გადასული იყო და მეტყვიდრე არა ჰყავდა; ორჯელ იყო დაქორწინებული, და არც ერთს მის ცოლს შეიიღო არ მისცემია. მეფე ძლიერ ნალვლობდა უშეილობას. როდესაც მოაგონდებოდა ხოლმე, რომ მოხუცებულობა მარტოობაში უნდა გავატაროვო, გული უკვდებოდა. ამის გამო წავიდა ქალაქს დელფის ქადაგთან, იქნება იმან მირჩიოს რამე, რომ შეიიღო მეფოლოს, რომელიც სიბერეში მანუგეშებს და ჩემს შემდეგ მეფობას გაუწევს ერსაო. ქადაგმა იმისთანა რჩევა მისცა, რომ ეგვასმა კარგად ვერ გაიგო, რა ღონე უნდა ეხმარა.

იქიდგან გამობრუნებული წავიდა ქალაქს თრეზენს, სადაც მეფობდა სიბრძნით სახელგანთქმული პითეას. ეგვასმა უამბო მას ქადაგის ნათქვამი. პითეასი მაშინვე მიხვდა, ქადაგის ნათქვამისაგან რა გამოდიოდა: ეგვასს ეყოლება შეიიღო და ისეთი შესანიშნავი კაცი იქნება, რომ მთელს ქვეყანაზე სახელს გაითქვამსო. ამიტომ პითეასმა მოინდომა ეგვასის დამოყვრება და მიათხოვა მას თავისი



ქალი ეფრა. ქორწინება ჩუმად მოახდინეს, რაღან ეგეასს ეშინოდა თავის ძმისწულების ღალატისა. ქსენი მოუთმენლად მოელოდნენ მოხუცი ბიძის სიკვდილს, რომ თითონ გამეფებულიყვნენ.

მალე ქორწინების შემდეგ ეგეას ათინას წავიდა და შეულლე მისი ეფრა კი დარჩა თავის მამასთან. წასვლის წინად ეგეასმა თავისი ხამლები (ფეხსაცმელი) და მახვილი ჩაფლა მიწაში, ერთს დიდ ლოდ ქვეშ, და დაუბარა ცოლს: თუ ისეთი ვაჭი გეყოლოს, რომელმაც შეიძლოს ამ დიდი ლოდის გადაგორება, ამოთხაროს, რაც აქ არის ჩაფლული თან წამოიღოს და მოვიდეს ჩემთან ათინაში, თუ არა და წუ გამოგზავნი და ნურც ეტყვი, ვისი შვილია.

ასრულდა ქადაგის ნათქეამი. ეფრას ეყოლა ვაჭი, ისეთი შშვე-ნიერი, რომ ავი თვალით არ ინახებოდა. დიდად გაიხარეს ეფრამ და პითეასმა და ცილილობდენ კარგად აღეზარდათ ყმაწვილი, რომელ-საც სახელად თეზეოს უწოდეს. პითეას ბრძენი კაცი იყო, ძლიერ გა-მოცდილი და ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ მისი შვილის-შვილი სახელოვანი კაცი გამოსულიყო. დედა და პაპა ხშირად უამბობდენ ხოლმე პაწია თეზეოსს სახელვანთქმულ კაცების ამბავს, იმათ ვაჟკა-ცობას, იმათ გმირობას, და ყმაწვილიც სიამოვნებით ყურს უგდებ-და ნაამბობს. თეზეოსმა პატარაობიდგანვე ჩაინერგა გულში, უთუ-ოდ მეც იმ გმირებივით სასახელო რამ უნდა მოვიქმედოო, და მო-უთმენლად მოელოდა იმ ღროს, როდესაც წლოვანი შეიქმნებოდა, რომ გამოსულიყო ქვეყანაში და თავი ესახელებინა.

## II

აპა, თექვსმეტი წლისაც შეიქა. თეზეოსი წაიყვანა დედამ იმ დიდ ლოდთან. შეუდგა თეზეოსმა ლოდს მხარი, ერთს წამში გადააგორა და ამოიღო მიწიდგან ხამლები და მახვილი. მაშინ გაუმხილა დედამ თეზეოსს, ვისიც შვილია, და უთხრა:—ჩაიცვი, შვილო, ეს ხამლები, მა-ხვილიც თან წაიღე და წადი მამაშენთან, მაგრამ უთუოდ ზღვით კი უნდა წახვიდე, რაღან ხმელეთით მოგზაურობა მეტად საშიშიაო. თეზეოს საჩქაროდ მოემზადა, გამოეწყო სამგზაუროდ, მხოლოდ ზღვით წასელაზედ კი დიდი უარი სთქეა. ბექრი ურჩიეს პაპამ და დედამ, წუ მიღიარ ხმელეთით, განსაცდელს რასმე გადაეციდებიო, მაგრამ არ იქნა, ვერ დაშლევინეს.

ახლა ისიც უნდა გითხრათ, რისი ეშინოდათ ეფრას და ვაჟა-ფშავების მართვა-მუსიკა. საბერძნეთში იმ დროს ბევრი გამოჩენილი ვაჟა-ცი იყო თავის ღონითა და გამზედაობით, მაგრამ ზოგიერთები იმის მაგივრად, რომ თავისი ღონე და ვაჟა-ცობა სხვის სასიკეთოდ გამოეყინებინათ, სამარცხვინო საქმებს სჩადიოდენ: ჩასაფრდებოდენ აქა-იქ ტუებში შარა-გზის მახლობლად და, როგორც კი დაინახავდენ მგზავრს, მაშინვე მივარდებოდენ, წა-ართმევდენ, რაც რამ ებადა, უწყალოდ სცემდენ, და ბოლოს სი-ცოცხლესაც გამოასალმებდენ. ეფრასაც ამ ავაზაკებისა ეშინოდა; ეფიქრებოდა, დაუხვდებიან გზაზე ჩემს თეზეოსს და მომიკვლენო.

მგრამ თეზეოსს როგორ შეეშინდებოდა იმათი! პატარაობიდანვე ვაჟა-ცობის გამოჩენა სწუუროდა და მონდომებული იყო თავისი ძალ-ღონე კარგს რაიმე საქმეში ესინჯა. ამიტომ გადასწყეიტა, უთუოდ ხმელეთით წავალო; თუ ავაზაკები დამიხედებიან წინ, შევებმი და დავამარცხებო; ეს ქვეყნისათვისისაც კარგი იქნება, რადგან ამ ავაზაკებს აკლებული ჰყავთ ხალხიო, და ვაჟა-ცობის სახელიც გამივარდებაო. დევ ჩემმა ვაჟა-ცობამ გააგებინოს მამაჩემს, რომ მე სახელოვანი ერებთ ეს \* შთამომავილი ვარო! განა დიდი სირცხვილი არ იქნება ჩემთვის, რომ მარტო ხამლებითა და მახვილით გავა-ცნო მამაჩემს ჩემი თავიო! ამ ფიქრით თეზეოს გამოესალმა დედას და პაპას და გასწია ათინას ხმელეთის გზით.

გაიარა თავის პაპის საბანებელი და მიუახლოვდა ქალაქს ეპიდავრს. აქ იმას გადაულობა გზა ერთმა ავაზაკმა, დევ-გმირმა პერითე ჭმა, რომელიც რყინის კოშმლით ხოცავდა გამულელ-გამომვლელს. თეზეოსს სრულიადაც არ შეეშინდა პერითეტისა, გულადად დაუხვდა წინ და შეექნათ ბრძოლა. თეზეოსმა სძლია მტერს და იქვე სული გააბრთხობინა. მერე აიღო ხელში იმის კომბალი და წავიღა თავისთვის.

ერთხელ ამ მოგზაურობის დროს ინადირა კიდეც ერთს გარეულ ტახზე, რომელსაც ეძახოდენ კრომიონის ტახს და რომელსაც შეწუხებული ჰყავდა ყველა ახლო-მახლო მცხოვრები. ეს ტახიც მოკლა.

შემდეგ მიაღვა ერთს კლდეს ზღვის პირად, საღაც იჯდა დევ-

\* ერებთე ეგეასის წინაპარი იყო.



ցմորո սկսուն օ. ամս Շնոտ ոյ աելու ցավլաս զերացը թշուաբար շուաբար տու ցոնմյ ցամոհնցը ծուա ցամշլյալո, պնդա մուսուլուց սկսուն տան ձա ոյքեծո լայքան ամուտուուս. սածիւալու մշչացրո հռմ Շեշտցը ծուա ամ սամսակցուուս, սկսուն չպրացը ոյքեծ ձա հլաւամո ցածացը ծուա. կլուածցան ցածացարնուուս մեսցրիւուս ոյ ճաշեցը ծուա ցեցեցրուուս կյ ձա հանտյացը. տեշեռսմա ստապա եցլու սկսուն ձա ցածասիւուուս հլաւամո.

օմ ճրուս կուրուն տուս պյուլիչ գումարո ոյու ձա ամ ույսի պնդա ցայարա տեշեռսմա. ոյ մալլյածուա յրտո ացածակո, սաեցլաւ սոնուս, հռմելուու սաուրաւ ստանչացը ցամշլյալ-ցամու մշլյալուս: մուշերուու եռլու ուն ունու ույուս, մուշրացը մուտ կյնից-հռոցից ոյքեծու, ձա մյրյ, հռուցսաւ ցայշցը ծուա եցլու, ույուցը ոյ ույըրաւ ալոմարուցը ծուա մշյաչ ցաշցլյաջը ու պուրաւ ալամուն. տեշեռսմա ամ ցմորսաւ ծուալու մուշլու ձա ցայլցա ցիսաս.

ճասասիւուլ პհռուրուս ստանաւ օմհուուուս տեշեռսմա ձա ամ ծիւուու մուսարչացը ծուա լարիս. լամաստու-ցը, հռմելուաւ մյուտս սաեցլու პհռուրուս յմանցը, սաուրարո համ ոյու: ցուսաւ կո տցալու մուշերացը, մուշաւուցը մուն, յահցաւ մուլցը ծուա, ումասկոնմուցը ծուա մյրյ լուցինչ մուսցը ծուա, մացրամ ցու մուսցը բաս! տու ստումարո ունու բանուս ոյու ձա լուցինչ ցյելո մուցուուու, մանին-ցը ոյքեծու մուշերուու, հռմ ճայմուցը ծուա լուցինու տանսիւրաւ, ձա տու ստումարո լածալու բանուս ալոմոհնցը ծուա ձա լուցինու ցրելու մուշուուու, մանին սանցալու մուցը ցասիցմացը, սանամ լուցինու սոցրեց ար ցածուու. տեշեռսմա տուուն ճամաստու լաւցին-նա օմ լուցինչ ձա հռուցսաւ լանաս, հռմ ցըցո ար ցուցաւ, մուրու ձա ուրուց ոյքեծ ցածասիւրա. ծուառութիւ ճամաստու լուցինու լալուս սուլու.

### III

ամ ցցարաւ տեշեռսմա տացուցան ալուու պուցը ցանսաւց-լու, սելուս պուցը լածիւրուու լա մուրիւս ատոնաս, սածաւ մյուծու ցացը. ցցաս մեցուսաս օմ ճրուս սկսուրուու յրտո լուցին-

\* չյելու, հռմելուու չալցանուս նաեւար-ցնմուլուս ձա մորյաս այրուէս.



ქალი, მედეა, რომელიც განაგებდა მეფის ოჯახის საქმეებს. ეგეასჩა რომ შეიტყო, ვიღაც უცხო გმირი მოსულა ჩემს ქალაქში, ცოტა არ იყოს შიში შეეპარა გულში, მეფობა არ წამართვასო. მედეა, როგორც მისანი, მიხვდა, ვინც იყო თეზეოს, და იფიქრა, ეს რომ გამეფდება, უთუოდ გამაგდებს სახლიდგანაო, და ამიტომ ურჩია მეფეს,—მოიწვიე ის უცხო გმირი სანადიმოდ და როგორმე მოვკლათ, თორემ მე ისე ვატყობ, რომ შენდა სასიკეთოდ არ უნდა იყოს ის აქ მოსულიო.

თეზეოს დაპეატიფეს. ისიც ესტუმრა მეფეს, მაგრამ გამხელით კი არ გაუმხილა, ვინც იყო. საქმე ისე იყო მოწყობილი, რომ სადილზე უნდა მიერთმიათ სასმელი, რომელშიაც საწამლავი იქმნებოდა გარეული. როდესაც სტუმრები სადილად დასხდენ და მოართვეს ხორცი, თეზეოსმა თავის მახვილი ამოილო, ვითომ და ხორცის დასაჭრელად. ეგეასმა რომ დაინახა ეს, სტაცა ხელი საწამლავს და თავი მოუქცია, მერე მივარდა, მოეხეია თეზეოსს და ჩაიკრა გულში. ნამეტანის სიამოვნებისაგან მოხუცს გული აუზილდა და თვალები ცრემლით აევსო. შემდეგ გამოჰკითხა ამბავი. თეზეოსმა უამბო თავის თავგადასავალი და დიდად გაახარა მამა თავის გმირობით. ამასობაში ხალხიც მოგროვდა, ყველას უწიდოდა ენახა თავის მეფის შეილი. ეგეასმა უჩვენა ხალხს იგი და უამბო კიდეც ყველაფერი, რაც თეზეოსს გზაში შემთხვეოდა. ხალხმა აღტაცებით მიიღო ახალგაზდა გმირი, რომელმაც მალე დაანახვა ყველას თავისი ვაჟკაცობა.


მთელი ატიქა \* შეწუხებული ჰყავდა ერთს განძვინებულს კუროს (მოზვერი-ხარი), რომელიც მარათონის \*\* მინდვრებში დადიოდა და ცოცხალს არაეის უშვებდა, ვისაც კი მოასწრობდა. თეზეოს წავიდა იმ კუროს შესაბყრობლად. რომ მიუახლოვდა იმ ადგილს, სადაც კურო იყო, და გაიგონა იმის საზარელი ბლუილი, პირდაპირ გასწია იმისკენ, სტაცა ხელი და მიწაზე დაანარცხა. მერე მოჰკიდა ხელი, წა-

\* ის ნაწილი საბერძნეთისა, სადაც დედა ქალაქად ათინა იყო.

\*\* მარათონი ქალაქის სახელია.



მოიყვანა, მთელი ქალაქი შემოატარა და ბოლოს მსხვერპლად შე-  
სწირა აპოლონს. \*



მაგრამ ეს ვაჟუაცობა რა სახსენებელია იმასთან შედარებით,  
რაც თეზეოსმა შემდეგ მოიმოქმედა.

#### IV

იყო კრიტის კუნძულზე მეფე, სახელად მინოს. ამ მეფემ დიდი  
გაჭირება მიაყენა ათინელებს; გამართა იმათთან ომი და დიდს ვნე-  
ბას აძლევდა მთელს ქვეყანას. ომის მიზეზი, როგორც ამბობენ, მი-  
ნოსის ვაჟის, ანდროგეოსის, სიკვდილი იყოვო. ერთხელ ანდროგეოს

\* ბევრი დროის ბერძნები წარმართნი იყვნენ: იმათ სწამდათ მრავალი  
ღმერთი, რომელთა შორის, მათის ფიქრით, უმთავრესა იყო სამი მა-ღმერთი:  
ზეგის, რომელსაც ეპურა ცა, პოსეიდონ — ზღვათა მბანებელი და აიდეს —  
მპურობელი ქვეყნელისა. ზეგის, როგორც უველაზე უცნესი და უგონიერესი, უფ-  
როსად ითვლებოდა; ის იყო მეფე და მამა უველა დანარჩენ ღმერთებისა და ყო-  
ველ ადამიანისაც; — გერა იყო მეუღლე ზეგისისა. ამათ ჰყავდათ შეილები: ათინა-  
ღმერთი სიბრძნისა, აპოლონი ი-ღმერთი აზოვნობისა და გრძნობისა, არეს-  
ღმერთი მხედრობისა და სხვ.

მოსულიყო ათინას დღეობაზედ დასასწრებად და მონაწილეობაში შექლო საერთო თამაშობაში. სიმარტითა და ღონით ანდროგეოსს ეჯობნა ყველა ათინელ ყმაწვილებისათვის. ეს საწყენად დარჩენოდა ეგეას მეცეს და ეთქვა ანდროგეოსისთვის: აბა, თუ ბიჭი ხარ, მარათონის კუროს შეებიო.

ანდროგეოს წასულიყო მარათონის კუროს დასამორჩილებლად, მაგრამ კუროსს ეჯობნა და მოეკლა. მინოსს ეჭვი აელო, ვითომ ანდროგეოს განზრახ ყოფილიყოს გაგზავნილი კუროსთან საბრძოლველად, რომ ცოცხალი აღარ დაბრუნებულიყო იქიდგან, და აი ამიტომ დაეწყო ომი. ომის გამო ათინელებს სამუშაოდ ველარ მოეცალათ; ჭირნახული აღარაფერი მოსდიოდათ. ჩამოვარდა სიმშილობა. სიმშილობას ზედ დაერთო სხვა-და-სხვა სნეულება, და ხალხი იქლიტებოდა. ვინც მტერს გადურჩა, სიმშილმა და სნეულებამ მოუღო ბოლო. მეტი რომ ველარაფერი გააწყეს ათინელებმა, მინოსს შეუთვალეს, შეერიგდეთ, ხარკს მოგცემთ და თავი დაგვანებეთ. იმანც ისეთი ხარკი მოსოხვა, რომლის ატანა ძნელი იყო, მაგრამ რა უნდა ექნათ, როდესაც მეტი გზა არა ჰქონდათ. რეა წელიწადში ერთხელ ათინელებს უნდა გაეგზავნათ ხარკად კრიტის კუნძულზე შეიდი ვაჟი და შეიდი ქალი. ამ ყმაწვილებს მინოსის საბრძანებელში მიიყვანდენ თუ არა, მაშინვე შეამწყვდევდენ ხოლმე ლაბირინტში.

ლაბირინტი ერთ უშველებელს შენობას ერქვა. ამ შენობაში უთვალავი ოთახი იყო და ერთი ოთახი მეორესთან ისე იყო გადაბმული და გადახლართული, რომ ვინც იქ შევიდოდა, უკან გამოსასვლელად გზას ველარ გამოაენობდა. ლაბირინტში იყო ერთი საოცარი დევი, აღამინის მჭამელი, რომელსაც თავი ხარისა ება და ტანი აღამინისა ჰქონდა. იმას ეძახდენ მინოტავრს. მინოტავრი მაშინვე მიპერდებოდა ათინელ ყმაწვილებს და შესჭამდა. ვინც მინოტავრს გაექცეოდა, დაებნეოდა გზა ბნელს ოთახებში და იმდენს ხანს იყლიდა უგზო-უკვლოდ, რომ ცოცხალი თავს ველარ გამოიტანდა.

ახლა წარმოიდგინეთ, ამის მომლოდინე ათინელი მშობლები რა ტნჯვაში უნდა ყოფილიყენ! როდესაც მერვე წელიწადი მიიწურებოდა და დადგებოდა ხარკის გაგზავნის დრო, მთელი ქალაქი გაყრუბული იყო მშობლების ტირილითა და მოთქმა-ქვითინით.



ყოველი მშობელი იმის ფიქრში იყო, ვაი თუ ჩემს შეკლტ უფროს დასაქცევ კრიტზე წასვლა მინოტავრის ჩასანთქავად, და წვითა და დაგვით გამოზრდილს ვაი თუ სამუდამოდ გამოვესალმოო.

თეზეოს ახალი მოსული იყო მამასთან, როდესაც მინოს მე-ფისაგან გამოგზავნილი კაცები მოვიდნენ და ხარკი მოითხოვეს. ეს მესამე გაფზავნა იქნებოდა ხარკისა. მთელს ხალხს თავს ზარი დაეცა ამ ამბის გამონენს და დიდს სამღერავს აცხადებდა ევეასზე, რომ იგი ვერა ჰშველის ხალხს ამისთან გაჭირებაში. თეზეოსიც ძლიერ შეაწუხა ხალხის უბედურებამ. თავის თვალით რომ ნახა თავისი ხალ-ხის დაჩაგვრა და ტირილ-ეივილი, აღელდა მეტის მეტად და სთქვა, სწორედ უნდა ვუშველო მამიქემის სამეფოსაო. როგორ უნდა ავი-ტანო ასეთი დამცირება ჩემის ქვეყნისა, მაშ რაღა ვაჟკაცი ვყოფილ-ვარ, თუ გაჭირებაში არაფრად გამოვადგები ჩემს ქვეყნასაო! სთქვა ესა და გადასწყვიტა, განეთავისუფლებინა თავის ქვეყნა საძაგელ ხარკისაგან.

შემდეგ მივიღა და უთხრა მამას: „მამა, მარტო მე გამგზავ-ნე კრიტის კუნძულზე. წილის ყრაც არ არის ჩემზე საჭირო: შე-იძლება წილით არც-კი მხედეს წასვლა, და მე გადაწყვეტილი მაქს, უთუოდ წავიდე. წავალ, მოვკლავ იმ ვეშაპ-მინოტავრს და ქვეყა-ნას გამოვიხსინ ამ სამარცხვინო მდგომარეობისაგან!“

ბევრი უშალა მამამ თეზეოსს, ბევრს ეხვეწა, თავს ნუ იღუ-პავ, ნუ მიწარებ მოხუცების ქაშს, ნუ მისდიხარო, მაგრავ თეზეოსი ვერ შეაყენა ამ ხვეწნამ. ათინელები გაკვირვა თეზეოსის გამედაო-ბამ. რაკი ალარაფერი ეშველა და არ დაიშალა წასვლა, მეფემ ბრძა-ნა, წილი ეყარათ დანარჩენებისთვის. ყარეს წილი და აირჩიეს ცამე-ტი ქალ-ვაჟი. მეოთხმეტე თეზეოს იყო. მას აქეთ, რაც ათი-ნელებს ეს უბედურება ეწია, წესად ჰქონდათ შემოღებული, რომ იმ ხომალდზე, რომლითაც გზავნიდენ მინოტავრის მსხვერპლს, ყო-ველთვის შავი იალქანი ყოფილიყო გაშლილი. ეს იყო მგლოვია-რობის ნიშანი, რადგან დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ხომალდზე მსხდომარე ყმაწვილები სამუდამოდ ესალმებოდენ სამშობლოს. მაგ-რამ თეზეოსის სიტყვებმა ცოტა არ იყოს იმოქმედა იმის მამაზე; ეგეასმა იფიქრა, იქნება მართლა შემიბრალოს ღმერთმა და უკნებ-ლად დაბრუნდეს ჩემი თეზეოსიო, და ამიტომ გრძანა: თეთრი იალ-ქნებიც წაიღეთ, და თუ მშვიდობით გამობრუნდეთ და თეზეოს ცოც-ხალი დარჩეს, შავი იალქნების მაგივრად უთუოდ თეთრი იალქნები

გაშალეთი; თუ არა და შევი იალქები აღმართეთ და იშიო შენიშვნების  
ნეთ შორაოგანვე ჩემი უცხელურებაო.

## V

თეზეოს და იმის ამხანაგები შეეველრენ ღმერთს, ჩასხვენ ხო-  
მალღში და გაეტვიკრენ. მავაღნენ თუ არა კრატის კუნძულზე, წარ-  
სდგნენ მინოს მეფის წინ. მეფემ ბრძანა, წაიყვანეთ ლაპირინტშაო.  
მინოს მეფის ქალშა, არია დნამ, რომ ნახა თეზეოს, ძლიერ მოეწონა  
ეს ყმაწვილი, და სოქა გუნებაში, რაც უნდა მომივიდეს, ვეცდები,  
სიკვდილს გადავარჩინოთ; მისუა ჩუმად თეზეოსს ერთი გორგალი ძა-  
ფი, რომლის წყალობით მას ადვილად შეექლო ლაპირინტიდგან გა-  
მოსცელა.

როდესაც თეზეოს და მისი ამხანაგები მიიყვანეს ლაპირინტთან, რომელიც იდგა ერთს უდაბურს ალაგას, თეზეოსმა ძაფის ერთი ბო-  
ლო მიაბა კარებზე და შევიდა ლაპირინტში. მიღიოდა და თან  
შლიდა გორგალს. როდესაც მაუხლოვდა მანოტავრს, თავის ამხა-  
ნაგები უკან ჩამოაყენა და გასწია წინ. მიერთა თუ არა, დაეძერა და  
შეეწინა სასტიკი ბრძოლა. რაღა თქმა უნდა, რომ თეზეოსს აქ მთე-  
ლი თავისი ძალ-ლონე უნდა გამოეჩინა. მართლაც ბრძოლა გათავ-  
და მით, რომ თეზეოსმა სხლია მინოტავრს. შემჯევ გამოჰყეა ძაფს,  
თავის ამხანაგი ქალ-გაეჭიბიც თან წამოიყენა და გამოეიდა გარეთ.

რა რიგად გაეხარდათ ყმაწვილებს ცის სინათლის დანახვა! სა-  
წყლებს მიწაზე ფეხი ალარ ედგათ სიხარულისაგან. ვაჟებმა მოირთეს  
თავი მწვანე ფოთლებითა და ყვავილებით და ქალებთან ერთად გა-  
მართეს სიმღერა და თამაშობა. ამ თამაშობის დროს ისე ირეოდენ  
მოთამაშენი ერთმანეთში, ისე დახლართულად გაებმ-გამოებმოდენ  
ხოლმე, რომ ლაპირინტს მოავრნებდენ მაყურებელს. არია დნა გუ-  
ლის კანკალით ელოდებოდა ათინელ ყმაწვილების ლაპირინტიდგან  
გამოსცელას. მინოსს რომ მოახსენეს თეზეოსის გამარჯვების ამბავი,  
ისეთნაირად გამრაზდა, რომ არ იცოდა, რა ექნა, და რომ თეზეოს  
არ აჩქარებულიყო და თავის ამხანაგებით მალე არ გამომგზავრებულ-  
იყო იქადგან, მინოსის რისხვას ვერ გადურჩებოდენ.

არია დნაც, სიყვარულით გატაცებული, თან გამოჰყეა თეზეოსს.  
აშბობენ, წამოსცელის წინად თეზეოსმა მინოსის ხომალდებს ძირი გა-  
მოამტვრია, რომ მინოსს საჩქაროდ კაცები არ გამოედევნებინა და



არ შეეპყრათ. გზაში სიზმარი ნახა თეზეოსმა: გამოეცხადა შემცირებულება  
თი ღიონისი და უთხრა,—ნუ მიგყავს არიაღნა, ეგ შენ საცოლედ არ  
არის დანიშნული განგებისაგანო. მაგას წილად ხედა ღმერთთა შო-  
რის ყოფნა და თავი დაანებეო. თეზეოს დაემორჩილა ღმერთთა ბრძა-  
ნებას და არიაღნა მძინარე დასტოვა ერთს კუნძულზე.

## VI

როდესაც კრიტიდგან დაბრუნებული ხომალდი მიუხსლოვდა  
ატიქას, თეზეოს და მისი შეერვალი (ნავის მატარებელი) ისე აღტა-  
ცებულნი იყენებ სიხარულით, რომ სულ აღარ გაახსენდათ შევი  
იალქების ჩამოხსნა და თეთრის გაშლა. მოხუცმა ეგეასმა ბევრი  
დღე გაატარა ზღვის პირას მჯდომარემ შეიღლის ლოდინში. ახლაც  
ზღვის პირას იჯდა კლდეჭე და გულის ძერით გაჰყურებდა შორს  
ზღვას, ამა როდის გამოჩნდება კრიტის კუნძულიდგან დაბრუნებუ-  
ლი ხომალდით. ბოლოს გამოჩნდა სანატრელი ხომალდიც, მაგ-  
რამ რა დაინახა ეგეასის თვალებმა! შევი იალქანი! ვაი, დავკარგე  
ჩემი ნუგეში, ჩემი კარგი თეზეოსიო! —გულგახეთქილმა წამოიძახა,  
გადაეარდა ზღვაში და დაირჩო.

როგორც კი მივიღა ხომალდი ათინის ნაეთსადგურში, თეზეოს-  
მა მაშინვე მახარობელი აფრინა ქალაქში, რომ თავისუფალა ხართ  
მინოსის ხარკისაგანაო. თითონ კი გადმოვიდა ხომალდიდგან, შეუდ-  
გა ლოცვას და, როგორც დაპირებული იყო, მსხვერპლი მიართეა  
ღმერთს. მახარობელი რომ შევიღა ქალაქში, ძლიერ გაკვირვებული  
დარჩა, რომ ყოველგან ერთნაირის სიხარულით არ მიეგება მას ხალ-  
ხი. ზოგიერთები მხიარულად დახვდენ და გვირგვინიც მიართეს, რო-  
გორც თავისუფლების მახარობელს, მაგრამ სხვები კი დაღონებულ-  
ნი უვდებდენ ყურს მის ნააშობს. ეკვასის სიკედილმა ასე შეაწესა  
მთელი ქალაქი. მახარობელიც ძლიერ დაღონდა, რომ შეიტყო ეს  
სამწუხარო ამბავი, და მის მაგივრად, რომ თავზე დაეხურა გვირ-  
გინი, ყავარჯენზედ ჩამოჰკიდა და ისე გამობრუნდა ნაეთსადგურში  
თეზეოსთან.

თეზეოსს თავს ზარი დაეცა, მამის სიკედილი რომ გაიგო.  
მისი თანამგზავრებიც დიდად შეწუხდენ და ერთის ყვირილით და  
ვაის ძანილით გაეშურნენ ქალაქსკენ.

ის ხომალდი, რომლითაც თეზეოსმა იმგზავრა კრიტში, შენა-

ხული ჰქონდათ ათინელებს მრავალ საუკუნის განმავლობაში მართვის გორუ საუნჯე, და მხოლოდ ერთხელ ხარობდენ წელიწადში: სა-  
ლმრთო დეპანები სადღესასწაულოდ უთუოდ ამ ხომალდით უნდა  
გაგზავნილიყვნენ დელოსის კუნძულზე, სადაც იმყოფებოდა ტაძარი  
აპოლონისა.

## VII

ეგვასის შემდეგ გამევდა თეზეოს და სახელი განითქვა თავის სიბრძნით და კაცომოყვარეობით. კარგად განაგებდა სამეფოს საქ-  
მეებს და ყოველთვის მფარველი იყო დევნილთა და გაჭირვებუ-  
ლებისა. უწინ ატიქის ხალხი ძალიან გაფანტული იყო. ყოველი ქა-  
ლაქი და ყოველი სოფელი ცალკე ცხოვრობდა; არას დაექებდა თა-  
ვის მახლობელ სოფლებისას. ხშირად უთანხმოებაც და ჩხუბიც  
ჰქონდათ ერთმანეთში, და ამიტომ ცუდად მადიოდა მათი საქმეები. იმის მაგივრად, რომ ერთის ერის შვილებს ერთად ეცხოვრათ ტყბი-  
ლად, ძმურად, ისინი ხშირად მომღურებულნი იყვნენ ერთმანეთ-  
თან და, როდესაც მტერი შემოესეოდათ, ვერ უმაგრდებოდენ, რად-  
გან კარგი ძმობა არ ჰქონდათ და არ შველოდენ ერთმანეთს გა-  
ჭირების დროს.

თეზეოსშია თავის ფეხით შემოიარა ყველა სოფლები და არი-  
გებდა ხალხს: ყველანი ძმები ვართ, ერთის ერის შვილები და  
ერთობა, ძმობა უნდა ვიქონიოთ. შევერთდეთ, ერთი სამეფო  
დავადგინოთ და ერთმანეთს დავეხმაროთ ჭირსა და ლხინშიო. მეც  
თქვენი მშველელი ვიქებიო. ის არ იფიქროთ, მე თქვენი ბატონო-  
ბა მინდოდეს და მიტომ გირჩევდეთ ამასო,— არა, თქვენ შეერთდით,  
ერთი ძლიერი სამეფო შეადგინეთ და თქვენსავე ხელში იყოს ყო-  
ველი საქვე სამეფოსი, მე მხოლოდ თქვენი საჩალალი ვიქები და  
დამცველი იმ წესისა, რომელსაც თქვენ შემოილებთო. მისი ნათქვა-  
ში მოეწონა ატიქის ხალხს; შეერთდენ და შეადგინეს ერთი სამეფო. ბოლოს, როდესაც კარგად გამართა სამეფოს საქმეები, თეზეოსმა თი-  
თონვე თავი დაანება მეფობას. უკანასკნელი დღეები გაატარა ს კი-  
რო სის კუნძულზე, სადაც მამისაგან დარჩნილი მამული ჰქონდა.

ამობენ ამ უკანასკნელის მეფეს, ლიკომედს შეეშინდა თეზეოსი-  
სა, მეფობა არ წამართვასო, და წაიყვანა მთებში, ვითომ მამულის  
საჩვენებლად. როდესაც თეზეოს კლდეზე იდგა და ათვალიერებდა



ადგილებს, ლიკომედმა ჰქონი, გადააგდო კლდიდგან დამატებით მოვლა იყი მანას-თე ს შეგონებით, რომელიც თეზეოსის შემდეგ გამეფდა ათინაში და შიშობდა, ისევ უკან არ დაბრუნდეს თეზეოსი და ხელმეორედ მეფობა არ მოინდოოსო.

### VIII

იმდენი სიკეთე უყო თეზეოსმა თავის ქვეყნას, ისეთი წესი და წყობილობა შემოილო, რომ ერთს თვალში მარტო ის ითვლებოდა სამეფოს დამფუძნებლად. ბევრმა ხანშა გაიარა მას შემდეგ (რამდენიმე საუკუნე გავიღა) და ბერძნებს დიდი ომები ჰქონდათ სპარსელებთან. ამ ომის დროს თეზეოსის ვაჟკაცობა და გმირობა სამაგალითოდ მიაჩნდათ ბერძნებს. ასე ამბობენ, რომ მართონი ს ბრძოლაში თეზეოსის აჩრდილიც ჩაერთა მეომართა შორის და გამწარებული ეომებოდა თავის სამშობლოს მტრებს, სპარსელებსათ. \*

ბოლოს ათინელებმა მოინდოეს თეზეოსის საფლავის პოვნა, რომ მისი ძვლები დინის პატივით გადმოიერათ სკიროსის კუნძულიდგან ათინაში და გამოჩენილს ალაგს დაესაფლავებინათ, თუმცა ძნელი კი იყო ამის ასრულება, რადგან სკიროსელები მტრულად უყურებდენ ათინელებს. მხოლოდ მაშინ, როდესაც სახელოვანმა ათინელმა სარდალმა, კიმონმა, დაიმორჩილა სკიროსის კუნძული, ასრულდა ათინელების სურვილი. ამბობენ, კიმონიც ვერას გააწყობდა, რომ თითონ ღმერთნიც არ მიჰველებოდენო.

როდესაც საფლავის ძებნაში იყვნენ, არწივი ჩამოეშვა თურმეზეციდგან და ერთს პატარა გორაკზე კლანჭებით მიწას თხრა დაუწყო. მაშინ კიმონი მიხვდა, რომ აქ უნდა იყოს თეზეოსის გვამიო, და უბრძანა იქ გაეთხარათ მიწა. გათხარეს და მართლაც იპოვეს ერთი საკაცე და იმ საკაცეზე ახორეანი ადამიანი, რომელსაც მახლობლად ედო შები და მახვილი. ამ სახით ნაპოენი თეზეოსის გვამი დაასვენეს ხომალდზე და წამოილეს ათინას. დიდის სიხარულით მიეგება მთელი ათინა და დაასაფლავა იყი ქალაქის შუაგულ ადგილს, საღაც აავეს მის სახსოვრად საუცხოვო ტაძარი—თეზეონი.

ალ. ჭიჭინაძე

\* ბერძნებმა მალიან დაამარცხეს სპარსელები და ააცილეს თავის ქვეყნას სპარსელების პატიონბა.

## ჭინჭველა

**კ**თუოდ ყოველს ოქვენგანს უნახავს ჭინჭველა. შეიძლება კიდევ დაგეთვალიერებინოთ და იცოდეთ, რა და რა ნაწილებისაგან შესღვება მისი სხეული. მაგრამ დარწმუნებული ვარ, ის კი არ გეცო-დინებათ, თუ რა გონიერი, შრომის მოყვარე და ხერხიანია ეს პაწინა ცხოველი. თუ ყუჩს დამიკდებთ, ამ წერილიდგან შეიტყობთ ამას და იმასაც გაიგებთ, რა მჩვავსებაა ჭინჭველებისა და ადამიანის ცხოვრებაში.

ჭინჭველები ბუდეს მიწაში ან ხის ფულუროში იკეთებენ და იქ ბევრი ერთად, გუნდად ცხოვრობენ. ამ გუნდს ჭინჭველებისას ეწოდება ჭინჭველების საზოგადოება. ჭინჭველების ყოველ საზოგა-დოებაში სამ გვარი ჭინჭველაა: დედა-ჭინჭველა, მამალი-ჭინჭველა და მუშა-ჭინჭველა. ამათ გარდა ზოგიერთ საზოგადოებაში არიან კიდევ მხედარი და მონა-ჭინჭველები.

მაგრამ ვიდრე ჭინჭველების ყოფა-ცხოვრებას გაგაცნობდეთ, საჭიროა, აგიშეროთ მათი სხეულის აგებულება და გიამბოთ, როგორ იბადება და იზრდება ჭინჭველა.

ჭინჭველის სხეულს შეადგენენ თავი და ტანი. ტანი განიყო-ფება ორ ნაწილად, ერთია ვულ-მკერდი, ანუ წინა-წელი, და მეორე მუცელი. თავი მუშა-ჭინჭველას უურო დიდი აქცე, ვიდრე დედა და მამალ-ჭინჭველას. თავის ზევითა ნაწილს ასხია ერთი წყვილი გრძელი ულვაში, რომელიც თავში და ბოლოში მოშესოა და შუაში უურო წვრილი. რისთვის არის გამოსაღევი ეს ულვაშები, ჯერ კიდევ ნამ-დევილად არ ვიცით. ზოგი სწავლული იმ აზრისაა, რომ ულვაშები ჭინჭველებს საყნოსაც იარაღადა აქთო, ზოგი იმასა ფიქრობს, რომ ჭინჭველები ხმარობენ ამ ულვაშებს შეხებისათვის, და ზოგის ფიქ-რით კი, ულვაშების ბოლოები ყურების მაგიერობას ჩადისო. ის კი



ცხალია, რომ, როცა ჭინჭველები ერთმანეთს შეხვდებიან, ჰითველად ულვაშებით შექცებიან ერთი მეორეს. თუ ორივ ერთის საზოგადოებისაა, ისევ ტყბილად გავშორდებიან ერთმანეთს, და თუ სხვა-და-სხვა საზოგადოებას ეკუთვნიან, მაშინ ჩხუბს გამართვენ. მაშასადამე ულვაშებს ხმარობენ ისინი მტრისა და მეგობრის გასარჩევად. რა სახით სცნობენ მტერ-მოყვარეს,—ყნოსვით, სმენით თუ შექებით, ეს არ ვიცით.

ჭინჭველას ორ გვარი თვალები აქვს: რთული და მარტივი. ერთი წყვილი თვალი აქვს რთული, რომელიც თავზე ასხია, ცალი ერთს მხარეს და ცალი მეორე მხარეს. ამ თვალებს რთულს ეძახიან იმიტომ, რომ თითოეული მათგანი შესდგება მრავალ პატარა თვალებისაგან. მაგალითად, მამალ-ჭინჭველის რთული თვალი შესდგება 1,200 პატარა თვალისაგან. მუშა-ჭინჭველის თვალში კი 500 პატარა თვალია. არიან ისეთი ჭინჭველებიც, რომლების რთული თვალი მხოლოდ 80 პატარა თვალისაგან შესდგება.

ამ რთულ თვალებს გარდა ჭინჭველასა აქვს კიდევ სამი მარტივი თვალი, რომელიც სამ კუთხედ არის მოთაესებული შუბლზე. ზოგიერთი მუშა-ჭინჭველა სრულებით მოკლებულია მარტივ თვალებს და მხოლოდ რთული თვალები აქვს. ისეთი ჭინჭველებიც არიან, რომელთაც რთული თვალების მაგიერ, მხოლოდ ერთი მარტივი თვალი აქვთ შუა შუბლზე.


თვალებს ქვეით ჭინჭველას აქვს ტუჩება, ქვეითა ტუჩი ენის მაგიერობასა სწევს. ჭინჭველას აქვს ორი წყვილი მაგარი და გაზის მზგავი ყბები. ყბებს პატარ-პატარა კბილები ასხია და თუ კბილები არა აქვს, მაშინ თითონ ყბა არის მაკრატელსავით მჭრელი. შენითა ყბებზე და ქვეითა ტუჩებზედ ჭინჭველას მერძნობი თათები ასხია. ეს თათები ყნოსვისა და შექების იარაღია. თავში ჭინჭველას პატარა ტფინი აქვს, რომლითაც ის გრძნობს და ცოტად თუ ბევრად მოსაზრებაც შეუძლიან.

გულ-მკერდით ჭინჭველები განირჩევიან ერთი მეორისაგან. მუშა-ჭინჭველას მკერდი ვიწრო აქვს და დედა და მამალ-ჭინჭველას კი უფრო განიერი. ეს იმიტომ, რომ მუშა-ჭინჭველა უფრთო არის,

დედა და მამალი-ჭინჭველა კი ფრთიანი, და განიკრი გულ-მკერდი იმა-ტოშა აქვთ, რომ ზედ ფრთები ასხიათ. დედა და მამალი-ჭინჭველა ფრთიანი იბადებიან და ჰაერში ნავარდობენ იმ ღრომდის, ვიღრე დე-და-ჭინჭველა კვერცხის დებას არ დაიწყებს. კვერცხის დასადებად ის შეღის ბუღეში, თავის ფრთებს თითონვე იკვეცს და სამუდამოდ ბუღეში ჩეხება. მამალი-ჭინჭველა კი პეპლაობის შემდეგ კვდება.

გულ-მკერდს ქვეით ჭინჭველას სამი წყვილი ფეხი აბია. ჭინჭვე-ლის ფეხები თავდება მაგარი ფრჩხილით, ანუ კლანჭით. გულ-მკერდს ორსავე მხარეს რამდენიმე ჩუჩრუტანა აქვს, რომლითაც ჭინჭველა სუნთქავს.

მუცელში აქვს ჭინჭველას ნაწლევები, კუჭი და იქვე მზადდება ერთგვარი სიმჟავე, რომელსაც ჭინჭველის-სიმჟავეს უწოდებენ. მუ-შა-ჭინჭველა მეტად იყბინება თავის პატარა ბასრი ყბებით და იმ ღროს მუცლით ამ ნაკებები ასხავს ჭინჭველის სიმჟავეს, რომელიც ხორცს ძლიერა სწვავს. ზოგს ჭინჭველას საჩველეტი იარაღად პატარა ბასრი ნეშტარი აქვს მუცელზე.



ტ ე ი ს ჭ ი ნ ჭ ვ ე ლ ა. 1. მამალი ჭინჭველა. — 2. ა, ბ ძლიერ გაღილე-ბელი მუშა-ჭინჭველა. — 3. დედა-ჭინჭველა. — 4. მუშა-ჭინჭველას თა-ვი. — 5. ჭია. — 6. პარე. — 7, 8. პარეში განვეული ჭია. — 9. მუშა-ჭინჭვე-ლა. — 10. მამალი ჭინჭველა. — 11. დედა-ჭინჭველა.

ეხლა ჩვენ ვიცით ჭინჭველის გარევნობა. შეიძლება იყაოთ:  
 ჭინჭველა ისე პატარაა და რაგორ დაათვალიერეს და შეატყეს ასე  
 დაწვრილებით იშის სხეულის ნაწილებიო? ეს მართლა რომ გასაკვარ-  
 ველია იმისთვის, ვანც არ იცას, რა არას მაკრისკოპა. მიკროსკოპი  
 არის შუშებიანი იარაღი. ამ შუშებს ისეთი თვასება აქვთ, რომ რაც  
 უნდა პატარა ნივთა იყოს, თუნდ თვალითაც არა სწავლეს, ისე გა-  
 ადიდებს, რომ ყველაფერს ცხადად დაგანახვებს. მაგალითად, ჭინ-  
 ჭველის თავს რომ დახელით მიკროსკოპით, დადა ბურთას ოდენა გა-  
 მოჩნდება და ყველა ნაწილებს კარგად გაარჩევთ. აი სწორედ ამ მი-  
 კროსკოპით დაათვალიერეს ჭინჭველა და შეატყეს მისა სხეულის  
 ნაწილები.

ახლა იმას გეტყვით, თუ როგორ იბადება და იზრდება ჭინჭვე-  
 ლა. როცა დედა-ჭინჭველა ჰაერში ნავარდს ათავებს და შედის ბუ-  
 დეში, ფრთებს იკვეცს და კვერცხის დებას იწყებს. ჭინჭველის კვერც-  
 ხი არის ძალიან პატარა, ფერად თეთრი, ან ყვაოელი. კვერცხითვან  
 თხუოშეტი დღის ან ერთი თვის შემდეგ გამოდის პატარა, თეთრი  
 და უფეხო ჭია. ჭიას მაგარი ყბები აქვს, ძლიერ ბევრსა სჭამს და  
 ჩქარა იზრდება. ექვს კვარას შემდეგ ის გაიკეთებს პარკს, რომელ-  
 შიაც რამდენიმე დღე უქრავად არის. პარკში ყოფნის ვადა რომ გა-  
 თავდება, გამოდის სრული ჭინჭველა.

ეჯ. ჭ—ტ

სამაგიეროს განდასდა

(ფრანგულიდამ)


ბა, ჩემთვალიავ, რას უურებ, იხტუნე! რაღას ელი?—  
ეუბნებოდა კუტიუკალიას ერთი ჸატარა ემაწვილი:  
რატომ არა ხტუნაობ? თუ არ იცი, მე გასწავლი, ჩეარა,  
იხტუნე, იხტუნე რაღა?

—ძალიან დაფალული  
ვარ, ჩემთვალიავ! ამ ქალაქ  
დღეს სულ ვხტუნაობდი, მოვი  
ქანცე და ახლა დასვენება მინდა.

—დასვენება გინდა?! ერთი  
ამას უურეთ!.. თუ არ იხტუ-  
ნებ, სხვა რა უნდა გააკეთო?  
დამაცა, მაშ მე გასტუნებ!



ჸატარა ემაწვილმა სის ტოტი აიღო სელში და და-  
უწეო კუტიუკალიას ცემა. მაგრამ..... დახეთ, რა მოხდა?  
კალია გადიდდა ისე, ისე.... ერთი ათად, ერთი ათასად.....  
შეიქნა კალია დიდი, ემაწვილი იმსოთან ესლა კუტიუკალიადა  
სჩახდა. ერთბაზად აიძართა კალია და კავივით მოიკავეა თავისი  
ფალი ფეხი. ისე გასჭიმა, — თითქოს მოღერებული ხმალი  
უჭირავსო, — აისროლა ემაწვილი ჭავრში და თან მიაძახა:




— აბა, ჩემთვ კარგო, იხტეუ  
ნე, რადას ელი, რატომ არა  
ხტი! თუ არ იხტუნებ, სწავა რა  
უნდა გააკეთო? დამაცა, მაშ მე  
გახტუნებ!

და პატარა უმაწვილიც წტის

ჭარეში ისე, ისე რომ..... უცბად შიშითა და კანკალით უმა-  
წვილს გამოეღვიძება.....

ეტეობა, ბევრი აწვალა კუტიაკალია, რომ ასეთი ცუდი  
სისძარი ნახა.



### მ ე ღ ო რ ო ბ ა

(თ ა მ ა შ ო ბ ა)



ამდენიმე ბავშვი შეიკრიბება ერთად. რაც ბევრნი იქნებიან —  
მით უკეთესი. ამოირჩევენ ვაკე, გაშლილ ადგილს. ყველა  
ბავშვი სათითაოდ დაიმზადებს ჯობს, სიგრძით არშინ-ნახევრიანს.  
ერთს ადგილას მოსჩიჩქნიან ჯამის პირის ოდენა ორმოს — „საღორეს.“  
საღორეში ჩააგდებენ კვერცხის ოდენა მრგვალს ხის-ნაჭერს — „ლორს“.  
ლორის საყარაულოდ დააყენებენ კენჭით ამოირჩეულს ბავშვს — „მე-  
ლორეს“, რომელსაც ჯობი აქვს. დანარჩენი ბავშვები „მელორეს“  
ირგვლივ შემოერტყმან, საღორილამ სამი-ოთხი ნაბიჯის მანძილზედ  
(მანძილი ბავშვების რაოდენობაზეა დამოკიდებული) და ყველა თა-  
ვისთვის საკუთარს ორმოს — „ბინას“, ამოითხრის საღორის-მაგივრად.

ყველას ჯოხები აქვთ, ერთი ბოლო ჯოხისა ხელში უჭირავთ და მეორე ბოლო კი საკუთარს ორმოში, ანუ ბინაში, აქვთ ჩადებული. თეოთ თამაშობა აი რაშია.

„მელორე“ დაიძახებს: „ჯერიო!“ – და მაშინათვე წრიდამ გადმოსტება ერთი ბაჟვი, რომელიც სხვაზედ უფრო მარტივი და გამბედავი, დაეცემა „მელორეს“ და ეცდება ჯოხის ერთხელ ან ორჯელ შემორტყმით „ღორი“ საღორიდამ ამოაგდოს. „მელორე“ არ უთმობს, ჯოხითვე იმაგრებს „ღორს“, და თანვე იმასაც ცდილობს, რომ როგორმე დაიჭიროს იმის ორმო, ვინც ამას „ღორს“ ართმევს. ამ გვარად „მელორე“ ორ ცეცხლს შუა: თან ცდილობს „ღორი“ არავის მოატაცინოს და თან სხვის ორმოს დაჭერაც უნდა. თუ ამან მოასწრო და მებრძოლის ორმოში ჩაყო თავის ჯოხი, მაშან ეს უკანასკნელი ნაჯობნია: ამან უნდა დასტოვოს თავისი ბინა, დაუთმოს ნამელორალს და თვითონ მელორედ დადგეს. „მელორეს“ ის უფრო უჭირებს საქმეს, რომ დანარჩენი ბავშვებიც ამას ემტერებიან და თავიანთ ამხანაგს ჰშველიან: თუ მოასწრეს, ესენიც არტყმიერ ჯოხს ორმოდგან ამოარჩინილს „ღორს“ და შორს სტყორუნიან. „მელორე“-კი თან ღორს უტრიალდება, ორმოსკენ აბრუნებს, და თან ცდილობს უპატრონო ორმო დაიჭიროს. ეს რომ თავდანებებულს ორმოსკენ გაიქცევა, ორმოს პატრონი ეცდება წინ გაუსწროს (ამ ღროს „ღორის“ დევნას თავს ანებებს) და ორმოში ჯოხი ჩაყოს. პატრონმა თავის ორმოში ჯოხის ჩაყოფა თუ მოასწრო, „მელორე“ პირში ჩალა გამოცლებული უბრუნდება „ღორს“, რომელსაც დანარჩენი ბავშვები უწყალოდ ჰპენტავენ და შორსა-და-შორს ერეკებიან.


„მელორეც“ და სხვა ბავშვებიც ამ გვარად დაუწყნარებლივ გარბი-გამორბიან — ბინებიდგან „ღორისკენ“ და „ღორიდამ“ ბინისკენ, გააქვთ კიფინა, ხარხარი. თამაშობას ათავებენ, როცა ყველა მოიღლება და მოპეზრდებათ. ყველაზედ მეტად დამარტინებული ის არის, ვინც ყველაზედ ხშირად „მელორედ“ იყო. ვისაც მელორობა ასცდა — ყველაზედ მეტად გამარჯვებული ის არის.

საზოგადოდ ამ თამაშობას დიდი მოძრაობა და მხიარულობა მოსდევს.



## მ ე ფ ე ღ ა მ ე თ ე გ ზ ე

(ზღაპარი-გამოცანა)



ყო ერთი მეთევზე. ერთხელ ზამთარში წავიდა სათევზაოდ. სიცივე-ყინვაში მეთევზე რომ წყალში იდგა და ოვეზს იჭერ-და, გამოუარა ახლოს, სანაძიროდ მიმავალმა, ხელმწიფები თავის ნაზირ-ვეზირებით და ჰქითხა:

— რა დაგმართვია, რვა ოთხს როგორ ვერ გადამეტეო, რომ ამ სიცივე-ყინვაში არ ჩამდგარიყავ წყალშიო?

— რა ვწნა, შენი ჭირიმე, ოც-და-თორმეტს ვერ გადავანარჩუნეო, — უპასუხა მეთევზემ.

— წისქვილი ისევ კარგად მუშაობსო? ჰქითხა ხელმწიფებ.

— რაღა დროსია, დიდი ხანია მოიშალაო.

— მთაზედ თოვლი მოსულაო.

— ბარშაც დიდი ხანია ჩამოვიდაო, — უპასუხა მეთევზემ.

— შორს როგორა ხარო?

— დავიახლოვეო.

— ორზედ როგორ-ლა ხარო?

— დავასამეო.

— თხები რომ მოგცე, კარგად ვერ დამიკრეჭავო? — ჰქითხა ბოლოს ხელმწიფებ.

— ისე დავკრიჭო, რომ ტყავიც კი თან გავატანოვო, — მიუგო მეთევზემ.

ხელმწიფეს ძლიერ მოეწონა მეთევზეს პასუხები და, როცა გაშორდა მას, ჰქითხა თავის ნაზირ-ვეზირებს:



—გაიგეთ, რასაცა ვლაპარაკობდით მე და მეთევზეო? ნაზირ-ვეზირებმა მოახსენეს — „ვერაო“.

მაშინ ხელმწიფებ გამოუტადა: „ვინც ვერ გამოიცნობს ჩვენს ლაპარაკს ამა-და-ამ ვადამდისა, ნაზირ-ვეზირობიდამ დავითხოვო“.

ნაზირ-ვეზირებმა მონახეს მეთევზე და შეეხვეწნენ, აქსნა მათ-თვის ხელმწიფებსთან ნალაპარაკევი. მეთევზე დათანხმდა, მხოლოდ იმდენა გასამჯელო კი მოსთხოვა, რომ ცოლის კაბებიც კი და-აყიდვინა ვეზირებს.

მეთევზემ თავისი გასამჯელო რომ ჩაიბარა, უთხრა: — ხელ-მწიფემა მყითხა: „რვა სამუშაო თვეს იმდენი როგორ ვერ იშოვ-ნე, რომ ოთხი ზამთრის თვის საგძალი შაგეჩაო“. მე ვუთხარი: „ოცდა თორმეტ კბილს ვერ გადავანარჩუნეო“, — რასაცა ვშოულობ-დი, მაშინვე ვჭამდი-მეთქი.

„კბილები ისევ მთლადა გაქვსო?“, — ხელმწიფემა მყითხა; მე ვუთ-ხარი: — დამცირდა-მეთქი.

„ომაში ჭალარა გამოგერიაო?“ მე ვუთხარი: — წვერშიაც გამო-მერია-მეთქი.

„მხედველობაზედ როგორა ხარო?“ — მე ვუთხარი: — შორს ვეღა-რა ვხედავ-მეთქი.

„მუხლში ღონე გაქვს კიდევაო?“ — მე ვუთხარი: — ყავარჯინით დავდივარ-მეთქი.

„თხები რომ მყითხა, ეგ კიდე თქვენა ხართო“, — უთხრა მე-თევზემ ნაზირ-ვეზირებსა.

ნაზირ-ვეზირები დარჩნენ ისევ თავ-თავის ადგილებზედ, რადგან აუხსენეს ხელმწიფეს მეთევზესთან ნალაპარაკევი, ხოლო მეთევზე კი ძლიერ გამდიდრდა.

ს ა მ ი მ გ ჭ ა ვ რ ი

(იგავი)

**W**ავადი, სოვდაგარი და გლეხი შორს გზას მიდიოდნენ. ერთ ალაგას დიდი მდინარე დახვდათ გადასასელელი, ცურვა-კი იმათში არავინ იცოდა. იღბალზედ, მეთევზე დაინახეს, რომელიც წყალში ნავით დაცურავდა და ბადეს ისროდა. მოგზაურებმა მე-



თევზეს სთხოვეს: „რაც გინდა გამოგვართვი, ოლონდ ჭალმა მშენება  
დობით გაგიყვანეო.“ — „გაყვანით გაგიყვანთ“ — მოუგო მეთევზემ:  
„მხოლოდ ნება მომეცით ნაპირას გასვლამდე ორიოდეჯერ მაინც ბა-  
დე გადავაგდოო.“

მოგზაურები დასთანხმდენ.

მდინარის შუა გულს რო შევიღნენ, ისე ლონივრად გადისრო-  
ლა მეთევზემ წყალში ბადე, რომ თავი ველარ შეიმაგრა — ნავიდამ  
წყალში გადავარდა და მორევში ჩაიყურჭელავა.

„არიქთ, ნიჩაბი მოუსვით, თორებ თქვენც ეგ დღე დაგადგე-  
ბათო“, — გადმოსძახა ვიღაცამ მოგზაურებს ნაპირიდამ.

თავადმა უთხრა ამხანაგებს: „მე არ მეკადრება, ნიჩაბს ვუსვამ-  
დე და თქვენ ისე ისხდეთო“.

სოვლავარმა სთქვა: „თქვენისთანებს მე ორმოცს ვიყიდი და  
გავყიდი, მე გემსახუროთ, თქვენ ისე ისხდეთ — რას ეგვანებაო!“

გლეხმა სთქვა: „აქაც რომ მე მიმსახუროთო, თქვენს ხელის-  
განძრევას როდისლა შევესწროო.“

ამასობაში ნავი კარჩხალს მოედო, გადაბრუნდა და სამწივ  
ერთად ტალღამ გაიტაცა.

ან-მან

### ლოკოკინა და ხვლიკი

— თქვენ ეი! ჩამომეცალეთ, გზა მომეცით, ხომ მხედავთ, რომ  
მიერბივარ, — სთქვა ლოკოკინამ.

— ღმერთო ჩემო! — შესძახა ხვლიკმა: მაგას თუ სირბილს უძა-  
ხი, შენი სეირნობა რაღა იქნება?

### მელა და ერკემალი

მშიერმა მელიამ დაინახა, რომ ერკემალი მირბის და მიაქანებს  
ქვაბის ტოლა დუმას, და უკან დაედევნა, — ეგონა გზაზედ დაჰეარდება,  
ავიღებ და გამოვძლებიო.

ირბინა ერკემალმა, ირბინა მელიამ, ერკემალს დუმა არ და-  
ჰეარდა და მელიას კი უკან დევნაში შიშილით სული ამოჰდა.



## ა ნ დ ა ზ ე ბ ი

1. ცული ხეს შესჩიოდა: „ნახევარი შენი ბრალიაო“.
  2. არ მინდამ ცხრა ჯაში ღო ჭამია.
  3. აზრუშს კი არა ვყოფილვარ, მაგრამ აზრით კი ვიციო.
- 

## გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი

(ქართლში გაგონილი)

ერთსა მინდორსა ხე მიღეა, საჩრდილობელად გრილია,  
მას აქეს თორმეტი ტოტია ფერად-ფერადი, ჩრდილია,  
თოთო ტოტს — ოთხ-ოთხი ხილი, საჭმელად მეტად ტკბილია,  
ოთხ-ოთხს ხილს — შეიდ-შეიდი კურკა, გამოსაცნობად ძნელია,—  
ამისი გამომცნობელი არს სიბრძნით მოსაწონია. ✓ (რუსული)

---

ერთი კაცი — ორი თავი, ვნახე, მეტად გამიკვირდა,  
თეთრმა თავმა არ-რა მითხრა, არცა სიტყვა მომისმინა,  
შავმა თავმა არაბულად საუბარი გამიხშირა.

---

ერთი რამე სურიელი ტურფად იღებს ყელსა,  
იმის ყელის მოღერება დაამშენებს თემსა,  
სასიკვდილოდ სახლს იშენებს, ეფარება ბნელსა.

---



(იმერულში გაგონილი)

ერთი რამე საქონელი უცხოდ გაეს რამე პინასა,  
თეთრი ჰერანგი აცვია, თავი მიუგავს ინასა,  
იმის მძებნელი მუშაკი მაზედ არ ხმარობს რკინასა,—  
ბატონსაც მოიმაღლებრნ, თვითონაც ნახვენ ლხენასა.

ხეა, ხეა, ხეა მბალი, ზედ აბია კახა მბალი,  
არც იჭმევა, არც ისმევა, არცა ზედა გაისულება.

## ი ს ტ რ ა რ ი უ დ ი გ ა მ თ ც ა ნ ა

ვის ახსოეს, ის რა ომია, რომ რაც დედა-მიწის ზურგზე ხალხი  
იყო, ნახვევარი სულ ამ იმში გამოვიდა და ომი რო გათავდა კი,  
მარტო ერთი კაცი აღმოჩნდა მოკლული?

## ს ა მ ა თ ე მ ა ტ ი გ ა გ ა მ თ ც ა ნ ა

მოახერხეთ, ისე ჩამწკრიოთ ექვს რიგად თორმეტი აბაზიანები,  
რომ ყოველ რიგში ოთხ-ოთხი აბაზიანები ეწყოს.

## ხ ა ლ ხ უ რ ი ლ ე ქ ს ე ბ ი

დაუკარ, ჩემო ქამანჩავ,  
გაჰკარ-გამოჰკარ ხელია,  
შშეიდობით მოგიჭამია  
ჯერ კალო, მერე რთველია.

ამხანაგის მოღალატეს  
ყელზე ჰერიდია გველია;  
ლედ-მამის მეუღიერეს  
შიგ უდევს ენის წვერია.

თამარ დედოფალი ვიყავ,  
დიდი სახელი გავიგდე:  
უქვოს ვაშენე საყდარი,  
უწყლოსა წყალი ვადინე,—  
ამ საქმეების მომქმედმა  
ცხრა ადლი ტილო წავიდე.


### ჩ ქ ა რ ა - გ ა მ ო ს ა თ ქ მ ე ლ ი

1. ნიორი ნანიორალში, რიონი ნარიონალში.
2. შენი ქინძი, კამა, პიტნა, ტარხუნა შენ თუ გექინძ-გეკამ-გე-პიტნ-გეტარხუნება, თორებ მე არაფერი მექინძ-მეკამ-მეპატნ-მე-ტარხუნება.

### შ ა რ ა დ ა

როს გაზაფხული დაღება,  
პირველით მოვფენ მინდორსა;  
ჯერ არაფერი არ ყვავის,  
ის აყვავდება იმ დროსა;  
მეორეს „ლასი“ შეადგენს,  
ბოლოზედ ბუზი მაბია.  
სახელად მთასა ვეკუთვნი,  
ზედ თოვლის ხალი მაგია.

### რ ებ უ ს ო





1890 წ. იანვრის თვითდგან

ქ. ტ ფ ი ლ ი ს ჭ ი

გამოიცემა, ორ თვეში ერთხელ, საუმაწვილო სურათებიანი

ქ უ რ ნ ა ლ ი

## ჭ ე ჭ ი ლ ი

წელიწადში გამოვა სულ 6 წიგნი, და თითო წიგნში იქნება ოთხიდამ-ხუთამდე ნაბეჭდი თაბახი, ანუ 64—80-დე გვერდი დიზის ფორმატისა.

„ჭეჯილში“ დაიბეჭდება: მოთხრობანი, ლექსები, ზღაპრები, მოგზაურობის და შესანიშავ-კაცთა ცხოვრების აღწერა, პოემები, მოკლე ამბები, სამეცნიერო წერილები, საბავშო სათამაშონი და სა- ვარჯიშონი, სამათემატიკო ამოცანები, იგავები, ანდაზები, გამოცა- ნები, ნარევი, რებუსები და სიმღერები ნოტებით.

ჭურნალში მონაწილეობის მიღება აღგვითქვეს ყველა ჩვენმა საუკეთესო მწერლებმა.

ჭურნალი „ჭეჯილი“ ტფილისში დატარებით ელირება—ვ მან., ტფილის გარეშე გაეზარნით 4 მან.

ცალკე ნომრის ფასი იქნება 60 კაპ.

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ წლით და ნახევარ წლით. ხელის მოწერა მიიღება:

1) ტფილისში—„წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიაში (Дворцовая ул., д. Зем. Банка, № 102) და ოვით „ჭეჯილის“ რედაქციაში (Барятинская ул., д. № 8).

2) შუთაისში—ეკ. ნიკოლაძისას.

3) გორგო—ეკ. ვურცელაძისას.

ვოსტის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго  
дѣтскаго журнала „Джеджили“.

რედაქტორი—გამომცემელი ან. თუმანიშვილისა

## “ი გ მ ო ძ”

გამოვა 1890 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.  
 ვისაც ჰასუს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1890 წლისათვის,

მ ი ჭ მ ა რ თ თ ს:

**ტფილისში:** ა) თითონ რედაქტიას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვა-  
 რანცოვის ძეგლის პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21;  
 ბ) „ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოე-  
 ბის“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-  
 მამულო ბანკის ქარვასლის გალერეაში, № 102.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა ღაიბარონ გაზეთი შემდეგის  
 ადრესით:

Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРИЯ“.

რედაქტია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის  
 გამო პასუხის მგებელ იქნება გარტო იმ ხელის მომწერთა წინაშე,  
 ეინც გაზეთის დაკვეთისათვის შესახვედრს ფულს პირდაპირ რედაქ-  
 ტიაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კან-  
 ცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთი წლით ღის 10 მან., ნახევარ წლით — 6 მანათი.



## ОТКРЫТА ПОДПИСКА

НА ЖУРНАЛЪ ДЛЯ ДѢТЕЙ ШКОЛЬНОГО ВОЗРАСТА

Въ наступающемъ 1890 году „Родникъ“ будеть издаваться въ томъ же духѣ и направлениі, что и въ минувшія 8 лѣтъ.

Содержаіе „Родника“ составляютъ: I. Стихотворенія, повѣсти, рассказы и сказки (преимущественно народныя). II. Био-



графіи замѣчательныхъ людей, главнымъ образомъ „людей труда и сильной воли“. III. Историческіе очерки. IV. Статьи научнаго содержанія, по различнымъ областямъ знанія. V. Очерки изъ современной жизни. VI. Смѣсь (мелкія статьи). VII. Дѣло и отдыхъ (игры, занятія загадки и проч.)

„Родникъ“ выходитъ ежемѣсячно (въ первыхъ числахъ каждого мѣсяца) книжками большаго формата, не менѣе 7 печатыхъ листовъ каждая, со многими рисунками въ текстѣ, портретами и отдѣльными картинами. Годовое изданіе „Родника“ составляетъ 2 большихъ тома, около 700 страницъ каждый 100—120 рисунками.

„Родникъ“ рекомендованъ и одобренъ ученымъ и учебнымъ Комитетами Мин. Нар. Просв., Святѣйшаго Синода и Собственной Е. И. В. канцеляріи по учрежденіямъ Императрицы Маріи. Удостоенъ малой золотой медали на педагогической выставкѣ Общества Трудолюбія въ Москвѣ, въ 1888 г.

Вмѣстѣ съ „Родникомъ“ можно получать ежемѣсячный педагогическій листокъ „ВОСПИТАНІЕ и ОБУЧЕНІЕ“.

**УСЛОВІЯ ПОДПИСКИ НА „РОДНИКЪ“ 1890 г. прежнія:**

На годъ съ доставкой и пересылкой за 12 книгъ „Родника“ . . .	5 руб.
Тоже съ приложеніемъ 12 № листка „Воспитаніе и Обученіе“ .	6 руб.
За границу . . . . .	8 руб.
Огдѣльно листокъ „Воспитаніе и Обученіе“ . . . . .	2 руб.

Адресъ редакціи: С.-Петербургъ, Кирочная ул., д. 25.

Редакторъ-Издательница Е. Сысоева.

Редакторъ Алексѣй Альмедингентъ.



16